ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

„იაგო ნებიერიძის მხრიდან ნანიკო ბერიაშვილის მიმართ სექსუალური ძმედება დასტურდება“

პროკურორის განცხადება

გვ.7

14 მაისიდან

ქართული მითები

„მე მიყვარს კითხვა“



ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

პარასკევი, 17 მაისი, 2019 №115 (8069) ფასი: 60 თეთრი

სანდრა რულოვსი: „19 მაისს ივანიშვილი მშვიდად ვერ დაიძინებს“

ირაკლი ჩიქოვანი: „ოპოზიცია არჩევნების პროცესის დისკრედიტებას ცდილობს“

გვ.3

გვ.2

სანდრო ბრეგაძე: „დასაჭერთა სიაში პირველი მე ვნერივარ“

დღეს თბილისში ცემა-ტყეპა არ იგეგმება – ლგბტ თემმა აღლუმის ჩატარება გადაიფიქრა

რამაზ საყვარელიძე: „ყველაზე მეტი სკანდალი ზუგდიდში გველოდება“



გვ.4

ბიძინა გეგიძე: „ქობულიას პოლიტიკაში დარჩენა საინტერესოა“

გვ.3

„ძალიან კარგია, თუ რეალური მესამე ძალა შეიქმნება“

სუსის უფროსი საქართველოში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს შეხვდა

გვ.5

სამართალი

გვ.7

100 მილიონის მოპარვისთვის 40.000 ადამიანის ანგარიშებიდან საქართველოში 2 ჰაკერი, ნანი და ფანტომი, დააკავეს



რეზო ნასიძე: „აბსურდია, რომ ექიმს ნარკოტიკის გამო დავარტყი“



„შარვალს როდესაც მხდიდნენ, ბოთლს მადებდნენ“

16 წლის ბიჭი პოლიციელებს გაუპატიურების მცდელობასა და ცემაში ადანაშაულებს

ეკონომიკა

გვ.6

ჭიათურა-მანგანეზის მაღაროელები გაფიცვას აბრძელებენ – გარე ძალისგან მართული პროცესი თუ გაუსაძლისი სამუშაო გარემო

ჯორჯიან მანგანეზი

კალმახის მწარმოებელი კომპანია „ალგოთი“ წილს ყიდის



ქობულიამ დაადასტურა, რომ არაფორმალური თამაშის წესები მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა

ISSN 1987-9385

2 33 წლის სამხედრო მოსამსახურე გარდაცვლილი იპოვეს

4 დავით ბერძენიშვილი: „ზუგდიდში ივანიშვილისთვის არჩევნების სანდრა რულოვსთან წაგება ნგრევის ინდიკატორი იქნება“

5 ექსპერტები კავკასიაში ისლამური სახელმწიფოსქსელის გაძლიერებას ვარაუდობენ

7 ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმეში დ.ღ. დამნაშავედ ცნეს

სანდრო ბრეგაძე: „დასაჭერთა სიაში პირველი მე ვწერივარ“

დღეს თბილისში ცემა-ტყეპა არ იგეგმება – ლგბტ თემმა აღლუმის ჩატარება გადაიფიქრა

შორენა მარსაგიშვილი

უნდა ველოდოთ თუ არა დღეს, 17 მაისს, არეულობას, ვინ იყენებს ლგბტ თემს თავისი მიზნებისთვის, დაუზავდნენ თუ არა ლევან ვასაძეს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ქართული მარშის ლიდერი **სანდრო ბრეგაძე** ესაუბრება.

– უკვე რამდენიმე თვეა, ჩვენს საზოგადოებას აინტერესებს, თუ რა მოხდება 17 მაისს. ამ დღისთვის ქართული მარშიც საგანგებოდ ემზადებოდით. იქნება რამე გართულება?

– პატარ-პატარა პროვოკაციები შეიძლება იყოს, მაგრამ აპოკალიფტური სურათი ნამდვილად არ დაიხატება. საზოგადოების აქტიურობამ შედეგი გამოიღო – ლგბტ თემმა აღლუმის ჩატარებაზე უარი თქვა.

აქედან გამომდინარე, აღლუმის ჩატარება მოიხსნა დღის წესრიგიდან, მაგრამ ვიღაცებისგან მზაკვრობა გამორიცხული არ არის. ამიტომ ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვიქნებით.

17 მაისი ალბათ მშვიდობიანად ჩაივლის, მაგრამ წინ გველოდება ცხელი ივნისი. ივნისში აქ პრაიდი იმართება, რომელიც დიდი აღლუმით უნდა დასრულდეს, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ და მთელი საქართველოს მასშტაბით გამოვაცხადებთ სრულ მობილიზაციას.

ახლავე ვაცხადებ, რომ ეროვნული ძალები დავიკავებთ თბილისის ყველა ქუჩას და გეიაღლუმის ჩატარების უფლებას არ მივცემთ. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ჩვენ არავის შევუცვივდებით სახლებში, მაგრამ აღლუმს არ ჩავატარებინებთ.

– ამბობთ, თბილისის ქუჩებს დავიკავებთო და რამდენი ხანი აპირებთ მორიგეობას, ივნისში დაგეგმილი პრაიდი ერთი კვირა უნდა გაგრძელდეს.

– იმდენი ხანი ვიმორიგეევებთ, რამდენიც ამ საქმეს დასჭირდება. ერთი კვირა კი არა, ერთი თვეც ვიმორიგეევებთ.

მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა – ჩვენ დახურულ სივრცეში არავის შევუცვივდებით, მაგრამ ქუჩაშიც ნუ გამოცვივდებიან ისინი.

დღემდე მკაცრად არის გასაიდუმლოებული, თუ სად გაიმართება ეს აღლუმი. შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩვენთან არ თანამშრომლობს.

– შსს-მ თქვენთან რაზე უნდა ითანამშრომლოს?

– ჩვენმა მოძრაობამ რამდენიმე განცხადება შეიტანა. ასევე რამდენიმეჯერ შედგა საუბარი შსს-ს წარმომადგენლებთან.

– რა განცხადებით მიმართეთ შსს-ს?

– ჩვენ გვინდა, ამ უწყებას ავუხსნათ, თუ რა საფრთხეები და რისკები არსებობს, თუ ეს აღლუმი ჩატარდება.

ჩვენდა სამწუხაროდ, შსს აქტიურად ელაპარაკება ამ პრაიდის ორგანიზატორებს, მაგრამ ჩვენთან შეხვედრაც კი არ ისურვეს. ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლებაა დაინტერესებული გეიაღლუმის ჩატარებით.

მივმართავ „ქართულ ოცნებას“, თუ გაბედავენ და ამ აღლუმს ჩაატარებენ, ამას გადაჰყვებიან. გეიაღლუმის ჩატარების შემთხვევაში ხელისუფლება 18-დან 26 ივნისის ინტერვალში დასრულდება.

„გეიაღლუმი თუ ჩატარდა, ხელისუფლებას კომბლებით გამოვყრით“

მინდა, ყველამ შეუშვას თავში, რომ ეროვნული ძალები მთელს ჩვენს აგრესიას მივმართავთ არა ლგბტ თემის წარმომადგენლების მიმართ, არამედ ხელისუფლებას მოვთხოვთ პასუხს.

– ემუქრებით ხელისუფლებას?

– არანაირი მუქარა არ არის. გამოხატვის თავისუფლება ჩვენც გვეხება და ჩვენც გვაქვს უფლება, რამე მოგვწონდეს ან არ მოგვწონდეს. ამ აღლუმზე პასუხს მხოლოდ ხელისუფლებას მოვთხოვთ.

ხალხი ისედაც გაბრაზებულია „ოცნებაზე“, ისეთი გაბრაზებულია, რომ პატარა მიზეზი სჭირდებათ და კომბლებით გამოყრიან ყველას კაბინეტებიდან. ვერავინ ვეღარ უშველის მათ. ისევ ჩვენთან დასჭირდებათ ხევწნა-მუდარა – იქნებ გვიშველოთო. დარწმუნებული ვარ, დასჭირდებათ კიდევაც ჩვენი შველა.

სანამ გვიანი არ არის, ხელისუფლება დაფიქრდეს და დაანებოს კულუარულ მოლაპარაკებებს თავი.

– რა კულუარულ მოლაპარაკებებზეა საუბარი?

– პრაიდის წარმომადგენლებს გარანტიებს აძლევენ, დაჰპირდნენ, რომ ქართული მარშის ლიდერებს დაიჭერენ. უკვე შედგენილია დასაჭერი ხალხის სია.

– ვინ მოხვდა ამ სიაში?

– პირველი მე ვწერივარ. სიაში შეყვანილი ჰყავთ გია კორკოტაშვილი, რამაზ გაგნიძე, ერმილე ნემსაძე, დიმიტრი ლორთქიფანიძე. დასაჭერი ხალხის სიაში ის ხალხია შეყვანილი, ვინც ბედავს და ღიად გამოდის ამ გეიაღლუმის წინააღმდეგ. სია საკმაოდ გრძელია.

– თქვენი აზრით, მოხდება ამ ადამიანების დაკავება?

– ხელს ვინ შეუშლის. პროვოკაციებს მოაწყობენ და ლიდერებს რამდენიმე დღით დააკავებენ. მოხდება მათი განეიტრალება, რათა პრაიდმა მშვიდობიანად ჩაიაროს.

შეიძლება, ყველა ლიდერი დაგვაკავონ, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლება. ძალიან მეცოდება „ოცნება“, თუ ჰგონიათ, რომ ქართველი ხალხის ნება 15-20 კაცზეა დამოკიდებული.

დაგვიჭირონ კი არა, სულ სხვა პლანეტაზე რომ გადაგვასახლონ, ხალხს ვერ შეაჩერებენ. ხელისუფლება ამ პრაიდზე ძალიან მწარედ წაიმტვრევს ცხვირს.

იმისთვის, რომ საქართველოში გეიაღლუმი ჩატარებულიყო, მილიონები დაიხარჯა, მაგრამ ეს დღემდე არავის გამოუვიდა. „ოცნების“ ბინძურ პოლიტიკურ თამაშსაც წელში გადავტეხთ და დავამთავრებთ ამ მარაზმს.

ყველამ უნდა იცოდეს ისიც, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლებზე მეტად გეიაღლუმის ჩატარება საქართველოს ხელისუფლებას სურს.

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, პრაიდთან დაკავშირებით თემში აზრთა სხვადასხვაობები გაჩნდა. ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ არ არის აუცილებელი, ადამიანები საკუთარი ორიენტაციის დემონსტრირებას ახდენდნენ.



ამ თემის წარმომადგენლები უკვე ხვდებიან, რომ მათით ადამიანების ვიწრო ჯგუფი სარგებლობს. ყველამ იცის, თუ რა მოჰყვება პრაიდის გამართვას საქართველოში, მაგრამ მაინც ატარებენ.

მოხდება დაპირისპირება და რამდენიმე ადამიანი თავის დამფინანსებლებს დაფინანსების გაზრდას მოსთხოვს, ლგბტ თემის წარმომადგენლები კი ამით ვერანაირად ვერ იხეირებენ.

„შსს-მ დასაჭერი ხალხის სია შეადგინა“

არ ვამბობ, რომ ამ ადამიანებს საქართველოში ცხოვრების უფლება არ აქვთ, მაგრამ აღლუმს არ დავუშვებთ. აღლუმს თემის ნაწილიც ეწინააღმდეგება.

– ზემოთ თქვით, ხელისუფლება უფრო დაინტერესებულია ამ პრაიდითო და რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ამ სოდომისტური მსვლელობის ჩატარება ყველაზე მეტად მათ აძლევს ხელს.

– რაში აძლევს ხელს?

– ეს ხელისუფლება არის სოროსის მონა. სოროსი ასეთი აღლუმების დამფინანსებელია. ეტყობა, მისგან დამატებით ფინანსებს ელოდებიან.

ჩვენ ლგბტ თემს არაფერს დავუშავებთ, მაგრამ ხელისუფლებას ძალიან მწარედ მოვთხოვთ პასუხს.

ლგბტ თემის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ ორიენტაციას არ მალავენ, მილიონჯერ სჯობიან ხელისუფლების ბევრ წარმომადგენელს.

მხედველობაში მყავს ის ჩინოსნები, რომლებიც გეები არიან და ამას საგულდაგულოდ მალავენ. ასეთები პარლამენტშიც მრავლად არიან და მთავრობაშიც.

ბევრი მათგანი ჩოხაშიც მინახავს, ბევრიც – ყანწით ხელში. პატრიოტულ განცხადებებს აკეთებენ და კაცობაზე დებენ თავს. სინამდვილეში კი....

არავის ორიენტაციას არ ვეხები, მაგრამ ასეთი ჩინოსნების მიმართ მაქვს მოთხოვნა – გამოვიდნენ და ღიად თქვან ყველაფერი, როგორც ეს ევროპაში ხდება. ევროპის ქვეყნებში იყო შემთხვევა, როცა ქალაქის მერებმა და მინისტრებმა ღიად თქვეს, გეები ვართო და საყვარელ კაცებზე დაქორწინდნენ. გათხოვდნენ ეს კაცებიც კაცებზე.

გარდა იმისა, რომ თავიან ორიენტაციას მალავენ, ლგბტ თემის მონები არიან. გახსოვთ ალბათ ვაჭარაძე, ამ თემს რომ იცავდა ვითომ და მერე მათი ფულები მოტეხა და გაიქცა.

რამდენიმე წლის წინ, მაშინ, როცა ჯერ კიდევ მთავრობის წევრი ვიყავი, ამ ადამიანმა პატრიარქს შეურაცხყოფა მიაყენა. ხელისუფლებიდან მისთვის პასუხის გაცემა ვერავინ გაბედა. მხოლოდ მე გავეცი პასუხი და ძალიან უხეში ფორმით გავაკეთე ეს.

ამ განცხადების გაკეთებიდან ძალიან მალე პარლამენტიდან და მთავრობიდან დაიწყეს რეკვა, მეუბნებოდნენ, ამის თქმა როგორ გაბედეო. ამის პასუხად ვუთხარი, აქ თქვენი კეთილები და იქ კიდევ ვაჭარაძისა-მეთქი.

– რამდენიმე კვირის წინ თქვენ და ლევან ვასაძეს შორის უთანხმოება დაიწყო, რომელიც ბოლო დღეებში მინელდა. შერიგდით თუ დროებით დაზავდით?

– გაბუტული არც არავისთან ვყოფილვართ. უბრალოდ, რიგ საკითხებზე სხვადასხვა დამოკიდებულება გვაქვს, მაგრამ ეს მოგვარებადია. მთავარია, გენერალურ საკითხებზე ერთნაირი პოზიციები გვაქვს და, სანამ ასე იქნება, გვინდა თუ არა, თანამოაზრეები გამოვდივართ.

პრაიდის ამბები სანამ არ დამთავრდება, ყველანაირი დაპირისპირება გვერდზე გადავდეთ.

33 წლის სამხედრო მოსამსახურე გარდაცვლილი იპოვეს

ამოღებულია სანადირო თოფი

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 33 წლის სამხედრო მოსამსახურე საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

„მიმდინარე წლის 15 მაისს არასამსახურებრივ ვითარებაში საცხოვრებელ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებული ბრიგადის საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურე პაატა ჩხაიძე (11.09.1985).

შემთხვევის ადგილზე, საცხოვრებელ სახლში ნაპოვნია ცეცხლსასროლი იარაღი (სანადირო თოფი).

გამოძიება დაწყებულია 115-ე მუხლის პირველი ნაწილით რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს“, – აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

ბანკების მიერ დასაკუთრებული ქონება შემცირდა

2019 წლის მარტის მონაცემებით, კომერციული ბანკების მიერ დასაკუთრებულმა ქონებამ 162.7 მლნ ლარი შეადგინა.

აღნიშნულის შესახებ ეროვნული ბანკის „საფინანსო სექტორის მიმოხილვაშია“ ნათქვამი. მიმოხილვის თანახმად, წლიურად ბანკების მიერ დასაკუთრებული ქონების ღირებულება 59.5 მლნ ლარით შემცირდა. კერძოდ, 2018 წლის მარტში ეს მაჩვენებელი 222.2 მლნ ლარი იყო.

ამასთან, სებ-ის მიმდინარე წლის მარტის მონაცემებით, ჩამოწერილი სესხების მოცულობამ 27.9 მლნ ლარი შეადგინა, მაშინ როცა 2018 წლის ამავე პერიოდში 68 მლნ ლარის ოდენობის სესხის ჩამოწერა მოხდა. გარდა ამისა, საფინანსო სექტორის მიმოხილვის თანახმად, მარტში 9.1 მლნ ლარის მოცულობის ჩამოწერილი სესხის ამოღება მოხდა, 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს მონაცემი 10.7 მლნ ლარი იყო.

BMP

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ბიძინა გეგიძე: „ქობულიას პოლიტიკაში დარჩენა საინტერესოა“

„ძალიან კარგია, თუ რეალური მესამე ძალა შეიქმნება“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის დეპუტატი **ბიძინა გეგიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს, რამდენად რეალურია გიორგი კვირიკაშვილისა და გიორგი ქობულიას მიერ ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.

– ბატონო ბიძინა, ამბობენ, რომ ყოფილი პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება და ახალ პარტიას ქმნის. ასევე, ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა გიორგი ქობულიამ არ გამორიცხა პოლიტიკაში დარჩენა. რამდენად რეალურია, რომ მესამე ძალა სწორედ მათ ჩამოაყალიბონ?

– ვერაფერს გეტყვით, ეს ინფორმაცია არ მაქვს. თუმცა, ზოგადად ქვეყანაში მესამე ძალის შექმნას ნამდვილად არ გამოვრიცხავ. აქამდე გიორგი კვირიკაშვილს არ უთქვამს, რომ ის პოლიტიკაში ბრუნდება. ისე, რა თქმა უნდა, გამორიცხვით არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ მე ეს ინფორმაცია არ მაქვს.

– გიორგი ქობულიამ პოლიტიკაში დარჩენა არ გამორიცხა. ამ საკითხზე თქვენი პოზიცია როგორია?

– ამაში გასაკვირი და უცნაური არაფერი არ არის. ეს მისი გადასაწყვეტია. თუმცა, გიორგი ქობულია ნამდვილად იქნება საინტერესო პოლიტიკაში, გამომდინარე იქიდან, რომ მას უკვე აქვს პოლიტიკაში გარკვეული გამოცდილება. ის ყოფილი მინისტრია, ანუ ის იყო პოლიტიკური ფიგურა. ასევე, მას აქვს საინტერესო ბიოგრაფია, წარმატებული ადამიანია. ამდენად, მას ნამდვილად გააჩნია ის პარამეტრები, რომლებიც ძალიან საინტერესოა პოლიტიკისთვის.

– თუ ქობულია და კვირიკაშვილი პარტიას შექმნიან და პოლიტიკაში წავლენ, თქვენ ითანამშრომლებთ მათთან?

– ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდებია, ამიტომ ასეთ კონკრეტულ კითხვაზე კონკრეტული პასუხი დღეს მიჭირს. მე შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკოსი ვარ, ჯერ გადაწყვეტილება არ არის მათი მხრიდან მიღებული, როდესაც გადაწყვეტილება იქნება, ჩემი პასუხიც იქნება.

– 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე რა შანსები აქვს „ქართულ ოცნებას“, იმ პარტიას, რომელსაც დღეს თქვენ წარმოადგენთ?

მესამე ძალა ძალიან კარგი იქნება, თუ შეიქმნება, მაგრამ ეს უნდა იყოს მართლა ძალა, რეალური ძალა და არა რაღაცისთვის შექმნილი, პროგრესული ძალა, ამბიციური, კვალიფიციური, კომპეტენტური და კომუნიკაციის მეტი რესურსის მქონე ძალა. მთელი რიგი პარამეტრებითა და უნარებით უნდა იყოს აღჭურვილი, მაშინ ვაღიარებ და მივესალმები.

– ეს დამოკიდებულია იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ უნდა მიიღოს სწორედ დარჩენილ დროში, 2020 წლის არჩევნებამდე. საკმაოდ ფორსირებულ რეჟიმში უნდა გატარდეს ცვლილებები.

ცვლილებები საჭიროა სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის პროცესები უნდა დაიწყოს პოლიტიკური, პარტიული მიმართულებით. პროცესები უნდა დაიწყოს მთავრობაში, პარლამენტში, ეს ჩემი მტკიცედ ჩამოყალიბებული პოზიციაა და ამის შესახებ უკვე წელიწადზე მეტია, ვსაუბრობ.

– რას გულისხმობთ?

– პარტიაში, პოლიტიკაში სიახლის შემოტანას, ახალი ხედვების დაგეგმვასა და შემდეგ უკვე განხორციელებას.

ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად არის გასაკეთებელი.

– გუნდში საუბრობთ ამის შესახებ?

– რა თქმა უნდა! პირველ რიგში გუნდში ვსაუბრობ და შემდეგ უკვე საჯაროდ ვამბობ ამაზე. ყველა პროცესის მიმართ ჩემი დამოკიდებულება და პოზიცია გამოხატული მაქვს.

– მესამე ძალაზე თქვენი პოზიცია როგორია? ელოდებით, რომ ასეთი ძალა მართლაც შეიქმნება?

– მესამე ძალა, მოცემულ რეალობაში ალბათ ასე უნდა ვთქვათ, ძალიან კარგი იქნება, თუ შეიქმნება, მაგრამ ეს უნდა იყოს მართლა ძალა, რეალური ძალა და არა – რაღაცისთვის შექმნილი, პროგრესული ძალა, ამბიციური, კვალიფიციური, კომპეტენტური და კომუნიკაციის მეტი რესურსის მქონე ძალა. მთელი რიგი პარამეტრებითა და უნარებით უნდა იყოს აღჭურვილი, მაშინ ვაღიარებ და მივესალმები.

თუ მხოლოდ სათაურად დარჩება „მესამე ძალა“, მაშინ, რა თქმა უნდა, აზრი არ აქვს. რაც მთავარია, ამ ძალას უნდა ჰქონდეს ნდობა, რომლის დიდი დეფიციტია ჩვენს ქვეყანაში.

– ამომრჩევლის ნდობაზე საუბრობთ?

– რა თქმა უნდა, ჩვენი მოქალაქეების ნდობაზე.

– ამომრჩევლის 60% ნიჰილისტურად არის განწყობილი. მათი მიმართება როგორ უნდა შეძლოს?

– თუ ის ყველაფერი იქნება, რაზეც ვისაუბრე, ეს უკვე ბუნებრივად მოხდება. ფაქტია, რომ ჩვენს მოქალაქეებში, კონკრეტულად ამომრჩევლებში, ეს მოთხოვნა არის. ფაქტია, რომ ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებისა და პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის მოთხოვნის დაკვეთა არსებობს. აქედან გამომდინარე, ეს ძალა თუ იმ რესურსებით, თვისებებით იქნება აღჭურვილი, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია, მაშინ ხალხის მხარდაჭერა ბუნებრივად მოხდება.

– რეალურად შეიქმნება?

– ხალხის იმდენად დიდ პროცენტშია ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენის მოთხოვნილება, მოლოდინი, რომ მხარდაჭერაც იქნება.

– გიორგი ქობულიას ხედვაზე თქვენი პოზიცია როგორია? მიიღეთ ის ინფორმაცია, რომელსაც ელოდით?

– სიმართლე გითხრათ, გიორგი ქობულიასა და მთავრობის ეკონომიკურ ხედვას შორის დიდი განსხვავება არ არის.

– მან ეკონომიკის 7-8%-ით ზრდის შესაძლებლობაზე ისაუბრა.

– დიახ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გიორგი ქობულიამ რაღაც ახალი თქვა და სიახლე აღმოვაჩინეთ. თუმცა, ძალიან საინტერესო იყო მისი ხედვა. იყო პასაჟები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნის პერსპექტივისთვის. ნამდვილად იყო საინტერესო მომენტები.

მე ძალიან დამაინტერესა და ამიტომ მივედი იმ შეხვედრაზე.

სანდრა რულოვსი: „19 მაისს ივანიშვილი მშვიდად ვერ დაიძინებს“

ირაკლი ჩიქოვანი: „ოპოზიცია არჩევნების პროცესის დისკრედიტებას ცდილობს“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ყურადღება კვლავ სამეგრელოს გულისკენ – ზუგდიდისკენ არის მიმართული. რამდენიმედღიანი ბრძოლის მიუხედავად, ქალაქიც და იქ დაბანაკებული პოზიცია-ოპოზიციაც კვლავ მხნედ გამოიყურებიან.

წინა დღეებთან შედარებით, ზუგდიდში ვითარება ოდნავ ჩაწყნარდა. მხარეები, ეტყობა, არჩევნებისთვის ისვენებენ, რათა გადამწყვეტი ბრძოლის წინ ძალები მოიკრიბონ.

პოზიციაც და ოპოზიციაც წინასწარ აანონსებენ გამარჯვებას. გაერთიანებული ოპოზიცია ამის პარალელურად ამტკიცებს, რომ ხელისუფლება ზუგდიდში არჩევნების გაყალბებას აპირებს.

გაერთიანებული ოპოზიცია და მისი მერობის კანდიდატი პირობას დებენ, რომ ხმებს აუცილებლად დაიცავენ.

გუშინ, 16 მაისს, განმუხურში მხარდამჭერებთან გამართულ შეხვედრაზე სანდრა რულოვსმა პირობა დადო, რომ 19 მაისის ღამეს ბიძინა ივანიშვილს ძალიან ანერვიულებენ.

ოპოზიციის მერობის კანდიდატი დარწმუნებულია, რომ რამდენიმე დღეში სამეგრელოს გული, ზუგდიდი, იქნება ქალაქი ივანიშვილის გარეშე.

მისი თქმით, ხელისუფლების მარცხს ის მძიმე ვითარება განაპირობებს, რომელიც დღეს ქვეყანაშია გამეფებული.

– სამწუხაროდ, დღეს ზუგდიდში მეფობს კრიმინალი და კორუფცია, წინა მერი ლაშა გოგია ციხეშია, ახლა კი გვყავს სამი ფეოდალი – ერთი არის გია დანელია, საკრებულოს წევრი,

რომელიც ტელეფონით იმაზე კი არ საუბრობს, თუ როგორ დაეხმაროს მოსახლეობას, არამედ იმაზე საუბრობს, თუ რა მეთოდებით უნდა დააშინოს ზუგდიდელები. ის ამბობს, რომ „შენ შენებურად დაამუშავე, მე ჩემებურად დავამუშავებ და 50+1 ხმა „კაროჩე“ დავდებ“ აი, ასე ლაპარაკობს ერთი ფეოდალი.

მეორე ფეოდალია ვიღაც ძიმცეიშვილი რიყიდან, რომელმაც მიითვისა ასობით ჰექტარი.

მესამე ჩვენთვის ცნობილი ედიშერ თოლორაიაა, რომელმაც წამართვა მაჟორიტარული მანდატი 2016 წელს.

მათ არ აინტერესებთ ზუგდიდელების გასაჭირი, თუნდაც გზების გაკეთება, მაგრამ ამ ბოლო კვირებში ეს პრობლემა გაახსენდათ. ხალხი წინასწარ მილოცავს, დღეს შამპანურიც გახსნეს.

მე ნამდვილად ვგრძნობ, რომ გამარჯვებულია ჩვენი გუნდი. ზუგდიდი იქნება ივანიშვილის გარეშე. აქ ჩვენ თუ დავამარცხებთ ივანიშვილის რეჟიმს, ეს იქნება მისი დასასრულის დასაწყისი. გპირდებით, რომ 19 მაისს დროულად ვერ დაიძინებს ივანიშვილი, მთელი ღამე ინერვიულებს, – აღნიშნა გაერთიანებული ოპოზიციის მერობის კანდიდატმა.

განმუხურის ამფითეატრში გამართული შეხვედრისას სანდრა რულოვსმა თავის მეუღლეზე, საქართველოს მესამე პრეზიდენტზეც ისაუბრა.

– თქვენ იცით, რომ ჩემი მეუღლე ლამის ემიგრანტების პრეზიდენტია, ორმა მილიონმა ადამიანმა დატოვა საქართველო და ეს ადამიანები ახლა მიშას შეხვედრებზე გულანთებულები დადიან, იმედით სავსენი, რომ მიშა მათთან ერთად სახლში დაბრუნდება, – განაცხადა სანდრა რულოვსმა.

19 მაისის არჩევნებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია.

მისი თქმით, ამ დღეს სამეგრელოში საქართველოს ბედიც გადაწყდება. პარლამენტარს სჯერა, რომ ხელისუფლების ყველა ქმედება ამაო იქნება და გამარჯვება ოპოზიციას დარჩება.

– დღეს ქვეყანას სჭირდება შველა, ქვეყნის მომავალი საფრთხეშია. საქართველოს გადარჩენა შეუძლია ერთობას და შეგიძლიათ თქვენ. ზუგდიდის მერის არჩევნები არის პოლიტიკური თანამდებობა, მაგრამ ჩვენ პოლიტიკა გვესმის ისე, როგორც დღეს სჭირდებათ ზუგდიდელებს, როგორც არასდროს. პოლიტიკა არა ურთიერთდაპირისპირების, კინკლაობის, ქიშპობის, არამედ პოლიტიკა დასაქმების, ინფრასტრუქტურული განვითარების, ჯანსაღი ცხოვრების წესის.

ეს არის ის პოლიტიკა, რომელიც შეუძლია და უნდა აკეთოს სანდრა რულოვსმა. ჩვენ ყველამ ამაში ხელი უნდა შევუწყოთ. ეს არ არის უბრალოდ არჩევნები. ზუგდიდზე გადის ამ ქვეყნის უკეთესი მომავალი.

ეს არის ისტორიული შანსი. ბიძინა ივანიშვილს მინდა გავუგზავნო გაფრთხილება. ბიძინა ივანიშვილო, თქვენ გახსოვთ, როგორ იძალადეთ კორცხელში, ყველა კუნთმაგარი ბიჭი ჩამოიყვანეთ და რა დაატრიალეთ კორცხელში, მაგრამ მაინც დაგამარცხათ კორცხელმა და ასე დაგამარცხებთ მთელ რაიონში, იმიტომ, რომ სიმართლე ჩვენ მხარესაა... გამარჯვება და გამარჯობა ზუგდიდს, – აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას ნიკა მელიამ.

განმუხურში გამართულ შეხვედრაზე სიტყვით გრიგოლ ვაშაძეც გამოვიდა, გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სახელმწიფოს მიწების ყალბი დოკუმენტებით დაუფლებისთვის 8 პირი პასუხისგებაში მისცეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადებისა და მათი გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ქონების მოტყუებით დაუფლების ორი ფაქტი გამოავლინეს, რაზეც პასუხისგებაში მისცეს რვა პირი, მათგან დანაშაულის ჩადენის ორგანიზატორი ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით, დაამზადეს მიწის ნაკვეთების ვითომდა კანონიერად ფლობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტები და ე.წ. ცრუ მოწმეების მიერ დამოწმებული განცხადებები, რომლის საფუძველზეც, ერთ შემთხვევაში, ბრალდებულმა საჯარო რეესტრში წარადგინა განცხადება მცხეთის რაიონის სოფელ მსხალდიდში მდებარე – სახელმწიფოს კუთვნილ 37.877 ლარის ღირებულების 2.265 კვ.მ. ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ბრალდებულმა დაირეგისტრირა მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში მდებარე 133.965 ლარის ღირებულების 6.500 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

უწყების ინფორმაციით, გამოძიების პროცესში მიწის ნაკვეთს დაედო ყადაღა, რომელიც შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გავლის შემდეგ დაუბრუნდება სახელმწიფოს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე და 362-ე მუხლის პირველი ნაწილებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე ითვალისწინებს.

რამაზ საყვარელიძე: „ყველაზე მეტი სკანდალი ზუგდიდში გველოდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** პასუხობს.

– ბატონო რამაზ, პოლიტიკურად ტემპერატურამ აიწია ქვეყანაში. ხელისუფლება აცხადებს, რომ მიზანმიმართულ პროვოკაციებზე მიდის ოპოზიცია. რას იტყვით თქვენ?

– დაცხა, დაცხა... პრინციპში, გამწვავების ეს ელემენტები, რაც წამოტივტივდა ზუგდიდში, ნაციონალური მოძრაობა ეცდება, გადააგდოს სკანდალის კალაპოტში.

– რატომ, რაში სჭირდებათ ეს? ანუ მიზანმიმართული პროცესია, თქვენც ასე ფიქრობთ?

– იმიტომ, რომ შესაძლოა ვერ იმარჯვებს რულოვსი და ეს ნაციონალებმა გადასარევად იციან და ქმნიან ისეთ სურათს, რომ აი, არჩევნებს უყალბებენ, ხელს უშლიან გამარჯვებაში. წინა არჩევნების დროსაც, გახსოვთ, უარი თქვა რულოვსმა იმიტომ, რომ გაყალბება იყოო. ახლაც შეიძლება დაიდოს ასეთი მოტივი.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– ჯერ ერთი, გაცილებით უფრო ინტენსიურად გამოჩნდა, ვიდრე წინა არჩევნების დროს, რულოვსის გამონათქვამები ზვიად გამსახურდიაზე და მეგრელების ყურადღება დაიმსახურა. მეგრელები კი ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ ამ ტიპის გამონათქვამებს.

– ზუგდიდში მანანა არჩვაძე-გამსახურდია ჩავიდა და მოუწოდა ზვიადის მხარდამჭერებს, მხარი არ დაუჭირონ სანდრა რულოვსს. ნაციონალებმა თქვეს, რომ „ოცნებამ“ მოისყიდა მანანა არჩვაძე-გამსახურდია და ხელისუფლების დავალებით აკეთებს ასეთ განცხადებებს. რას იტყვით თქვენ?

– მაგ შეფასებებში უკვე ჩანს, საით მიჰყავს პროცესი ნაციონალურ მოძრაობას.

– საით?

– ხელისუფლების ბრალდებისკენ მიჰყავს, თორემ მანანა არჩვაძის თაობაზე ამ ტიპის ბრალდებები არც ბუნებრივია და არც მიზანშეწონილი. მანანა არჩვაძეც ზვიად გამსახურდიას სახელის შეურაცხყოფის გამოა გაღიზიანებული და, ფაქტობრივად, ემთხვევა იმ ზუგდიდელების პოზიციას, რომლებმაც შეიძლება არ მისცეს ხმა რულოვსს ზუსტად იმავე მიზეზით. თუმცა იმას კი არ ამბობენ, ჩვენ მოგვივიდა შეცდომაო.

თვითონ რულოვსი უფრო წინდახედული ქალია, 90-იან წლებში ასე ჩანდა მოვლენები, თორემ ახლა მიმაჩნია, გამსახურდიას იდეის გარშემო ყველა უნდა გაერთიანდეთო. აი, ასე დაიწყო სანდრამ თავისი ნათქვამის გამოსწორება, მაგრამ, ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ თავადაც კარგად იცის, მისი პოზიციისთვის წამგებიანი იყო ის ადრინდელი გამონათქვამები. შესაბამისად, რა საჭიროა მანანა არჩვაძე-გამსახურდიაზე იარლიყის მიკერება, ხელისუფლების აგენტიაო. თუმცა ნაციონალები თვითკრიტიკული მიმართულებით არ მიდიან.

„ამ ფონზე გასაკვირი არ არის ის, რომ ოპოზიციამ, თუ მას თავისი ხალხი ჰყავს საარჩევნო ადმინისტრაციაში, მოახერხოს შედეგების გაყალბება თავის სასარგებლოდ. თუ არადა, მაშინ სრულიად გაუგებარია, რატომ არ არიან მიტინგის დროს ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი ადამიანები ქუჩაში“

– რა მიმართულებით მიდიან?

– მიდიან იქითკენ, როდესაც გამოცხადდება შედეგები, ითქვას, რომ ეს იყო გაყალბების პროდუქტი.

– გაყალბდება თუ არ გაყალბდება, ნაციონალები იტყვიან, რომ გაყალბდა არჩევნები?

– როგორც ჩანს, ასე იქნება. პროცესი მიგვითითებს მაგაზე, თორემ ნაციონალებმა რომ იცოდნენ, მათი კანდიდატი იგებს, წინასწარი გამოკვლევებით, ბუზს არ ააფრენდნენ ზუგდიდში და ეცდებოდნენ, რომ არჩევნები ჩატარებულიყო პრობლემის გარეშე, რათა მოგებას მისცემოდა სანდო სახე.

– ხელისუფლება არ უყვართ სამეგრელოში, განსაკუთრებით ზუგდიდში და ამაზე რას იტყვით, მაინც მაღალია „ოცნების“ შანსები?

– ხელისუფლება სად უყვართ, მანდ რომ უყვართდეთ?! მეგრელები კრიტიკულად რომ არიან განწყობილნი, ამას ბევრი ფაქტორი განაპირობებს და ვერ იტყვი, რომ მეგრელების ბრალია მხოლოდ. მათ ბევრი პრობლემა ნახეს ცენტრალური ხელისუფლებისგან განვლილ პერიოდში.

– არც იმას გამორიცხავენ, რომ ზუგდიდში დაწყებულმა არეულობამ ვადამდელი არჩევნები გამოიწვიოს. ამაზე რას იტყვით?

– ზუგდიდში შეიძლება სერიოზული არეულობა მოხდეს, მაგრამ მეეჭვება, გადამდები აღმოჩნდეს ეს არეულობა და ეპიდემიის სახე მიიღოს. თვითონ ზუგდიდელებს არ მიაჩნიათ ცალსახად რულოვსის გამოჩენა მათთვის დიდი სიკეთის მომტანად.

ჟურნალისტებმა მითხრეს, გამოკითხვა ჩავატარეთ და რულოვსი პირველ ადგილზე კი არა, არც მეორე ადგილზეაო. სერიოზული ორგანიზაციების კვლევებითაც რულოვსი ნამდვილად ვერ ლიდერობს. აი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ნაციონალურმა მოძრაობამ შეარჩია ის სტრატეგია, რომ მოამწიფოს უნდობლობა არჩევნების მიმართ.

– ნაციონალური მოძრაობა ამბობს, რომ თავს ესხმიან მის მომხრეებს, მის კანდიდატს, აქვთ ჩანაწერები.

– ეს ყველაფერი გადამოწმებას ითხოვს, რადგან ნაციონალური მოძრაობა არ არის ის პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც ყველა სიტყვა დაეჯერება. გუშინ მეკამათა ამ თემაზე ერთი პიროვნება, ნაციონალებმა 800 ათასი ხმა მიიღესო, ამ დროს კი მიტინგზე 800 კაცი ძლივს გამოიყვანეს. შეიძლება, პარტია, რომელსაც 800 ათასი მხარდამჭერი ჰყავს, ვერ ახერხებდეს 800 კაცის მობილიზაციას?!

– თქვენ რით ხსნით ამას?

– იმით, რომ ნაციონალებმა გააყალბეს არჩევნები!

– როგორ გააყალბეს? ხელისუფლებაში არ არიან და აქვთ ამის ბერკეტი?

– რატომ არ აქვთ? იმ უნიათობით, რომლის საუკეთესო მაგალითებს იძლევა „ქართული ოცნება“, იმ უნიათობით, რომლის შედეგადაც ნაციონალების მხარდამჭერთა დიდი რიცხვია შესული ამა თუ იმ სტრუქტურაში, მათ შორის საარჩევნო სტრუქტურებში, იმ სიჯიუტით, რითაც ნაციონალები იბრძვიან გამარჯვებისთვის, რაც მხოლოდ მისასალმებელია და იმ სიზარმაცით, რომელიც არჩევნებში ახასიათებს „ქართულ ოცნებას“.

ამ ფონზე გასაკვირი არ არის ის, რომ ოპოზიციამ, თუ მას თავისი ხალხი ჰყავს საარჩევნო ადმინისტრაციაში, მოახერხოს შედეგების გაყალბება თავის სასარგებლოდ. თუ არადა, მაშინ სრულიად გაუგებარია, რატომ არ არიან მიტინგის დროს ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი ადამიანები ქუჩაში.

– რას ელოდებით?

– ყველაზე მეტი სკანდალი ალბათ ზუგდიდში იქნება, მაგრამ რეალურად ყველაზე რთული „ქართული ოცნებისთვის“ იქნება მარნეული, რადგან მარნეულში უწევს დაპირისპირება საკმაოდ გამოცდილ, საარჩევნო ბრძოლებგამოვლილ კონკურენტთან. შესაძლოა, გარკვეული სირთულეები შესთავაზოს მთაწმინდამაც როგორც „ოცნებას“, ისე ნაციონალებს. იმ მხრივ, რომ ბევრი დამოუკიდებელი კანდიდატია მთაწმინდაზე, საკმაოდ თვალშისაცემი ფიგურები და შეიძლება მოხდეს ელისაშვილის ფენომენის გამეორება მთაწმინდის რაიონის დონეზე.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ვფიქრობ, „ოცნება“ უმრავლეს ადგილზე მოიგებს.

სანდრა რულოვსი: „19 მაისს ივანიშვილი მშვიდად ვერ დაიძინებს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

კანდიდატმა ზუგდიდს გვერდში დგომისა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

– 2013 წლის იანვარში ვინმეს რომ ეთქვა, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ასეთი ძლიერი იქნებოდა, ვინმეს რომ ეთქვა, რომ ყველა პატიოსანი ადამიანი შემოგვიერთდებოდა და შეიქმნებოდა გაერთიანებული ოპოზიცია, ბევრი არ დაიჯერებდა, მაგრამ სჯეროდა იმ ბრძოლისუნარიან უმცირესობას, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მოიპოვო გამარჯვება.

ჩვენი კანდიდატი არის ქალბატონი სანდრა ელიზაბეტ რულოვსი, ამ ადამიანს შეეძლო, მოდების ჩვენებაზე ჟიურიში მჯდარიყო, ამის მაგივრად სკრინინგის პროგრამა დაიწყო საქართველოში და უამრავი სიცოცხლე გადაარჩინა. ამ ადამიანს შეეძლო, ევლო სიმღერების კონკურსებზე, ამის მაგივრად საავადმყოფოში მედდად მუშაობდა იმიტომ, რომ ეს მისი სამშობლოა და ამ სამშობლოზე მეტად არაფერი უყვარს, განსხვავებით იმ ხალხისგან, ვინც თავის თავს „ქართულ ოცნებას“ ეძახის და სამეგრელოსა და საქართველოს ბიზნესპროექტად თვლის, ჩემოდნებს ტენიან ფულით, რომ აითესონ აქედან, რაც შეიძლება სწრაფად.

გავიმარჯვებთ აუცილებლად, გაუმარჯოს ჩვენს კანდიდატებს! – დასჭექა გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატმა.

* * *

გამარჯვებაში დარწმუნებულ ნაციონალებს დესტრუქციულ ქმედებებში ადანაშაულებს ხელისუფლება.

„ოცნების“ კანდიდატ გეგა შენგელიას საარჩევნო შტაბის უფროსმა ირაკლი ჩიქოვანმა საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც განაცხადა, რომ ოპოზიცია არჩევნების პროცესის დისკრედიტებას ცდილობს.

ჩიქოვანი სხვანაირად ვერ ხსნის იმას, რომ ნაციონალები ზუგდიდში რამდენიმე ათასი ადამიანის ჩამოყვანას აპირებენ. ამის შესახებ ოპოზიციამ თავად განაცხადა. საუბარია 5.000 ადამიანზე.

„ოცნების“ წარმომადგენელი ყველას კანონის დაცვისკენ მოუწოდებს. ამბობს, რომ დაისჯება ყველა, ვინც კანონს დაარღვევს.

– მივმართავ ზუგდიდელებსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, შეინარჩუნონ აბსოლუტური სიმშვიდე და ყველა სამართალდარღვევასთან დაკავშირებით მიმართონ სამართალდამცველებს.

სამართალდამცველები მზად არიან იმისთვის, რომ მოახდინონ მყისიერი რეაგირება ყველა დარღვევაზე და არა აქვს მნიშვნელობა, ვინ ჩაიდენს და ვისი მომხრე იქნება ის.

ჩვენი ინტერესია, ზუგდიდში არჩევნები მშვიდად ჩატარდეს და ზუგდიდი არ იყოს საცდელი პოლიგონი და პოლიტიკური ბატალიების ეპიცენტრი, – აღნიშნა ჩიქოვანმა.

იმოძრავებს თუ არა მეტრო სამგორიდან რუსთავის მიმართულებით, 15 თვეში გაირკვევა

სამგორი-ლილოს მიმართულებით მიწისზედა მეტროს პროექტირებაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული გამოვლენილია, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, კონკურსი მოიცავდა ასევე ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარებას სამგორი-რუსთავის მიმართულებით მეტროს გაყვანის საკითხთან დაკავშირებითაც. ამასთან, როგორც კალაძემ აღნიშნა, კონკურსში ავსტრიულმა საერთაშორისო კომპანიამ გაიმარჯვა, რომელიც ორივე მიმართულებაზე ჩაატარებს კვლევას და მოამზადებს სატენდერო დოკუმენტაციას.

დედაქალაქის მერის განცხადებით, ორივე – სამგორი-ლილოს და სამგორი-რუსთავის მიმართულების მეტროს გაყვანის პროექტის მომზადებაზე ჯამში, 12.762.000 ლარი დაიხარჯება.

რაც შეეხება ვადებს, კალაძის თქმით, გამარჯვებულმა ავსტრიულმა კომპანიამ დოკუმენტაცია 15 თვეში უნდა მოამზადოს.

დავით ბერძენიშვილი: „ზუგდიდში ივანიშვილისთვის არჩევნების სანდრა რულოვსთან წაგება ნგრევის ინდიკატორი იქნება“

– ზუგდიდში ბიძინა ივანიშვილისთვის არჩევნების სანდრა რულოვსთან წაგება პრინციპულად არის მომავალი ნგრევის ინდიკატორი.

ამის შესახებ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა. მისი შეფასებით, ხელისუფლებას ზუგდიდში არჩევნების მოსაგებად სახელისუფლებო რესურსის გამოყენება არ ეყოფა.

მისივე განცხადებით, ზუგდიდში მანანა არჩვაძის გაგზავნა ივანიშვილის მიერ დაშვებული კიდევ ერთი შეცდომაა.

– ზუგდიდში ბიძინა ივანიშვილისთვის არჩევნების სანდრა რულოვსთან წაგება პრინციპულად არის მომავალი ნგრევის ინდიკატორი. სრულიად მკაფიოა, რომ ხელისუფლებას სახელისუფლებო რესურსის გამოყენება არ ეყოფა. ამიტომაც არის მანანა არჩვაძე ზუგდიდში გაგზავნილი. ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილს და მის მრჩევლებს მორიგი შეცდომა მოუვიდათ და კმაყოფილი ვარ ამით. მანანა არჩვაძე არის ნეგატივი და არა პოზიტივი ზვიადისტების დიდი ნაწილისთვისაც კი. ამიტომ მისი გამოჩენა ზუგდიდში არ არის სანდრასთვის საშიში, იქნებ პირიქითაც კი არის, – განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

მისი შეფასებით, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ხელისუფლების დასასრული დაიწყო. როგორც ბერძენიშვილმა განაცხადა, დასრულდა ის პერიოდი, როდესაც ნაციონალური მოძრაობისადმი წინააღმდეგობის გამო ყველა „ქართულ ოცნებას“ აძლევდა ხმას.

– არსებითია ის, რომ 2018 წლის ოქტომბერ-ნოემბერში დაიწყო ივანიშვილის ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი როგორც პირველ, ისე მეორე ტურში. მეორე ეტაპი არის შუალედური არჩევნები. სრულიად მკაფიოდ ჩანს, რომ ყველა ოლქში ოპოზიციონერები არიან კონკურენტუნარიანები. ზესტაფონში დომინანტია გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი ბაქარ ხიჯაკაძე, ჭიათურაში ბევრი ოპოზიციური პარტია უჭერს მხარს დამოუკიდებელ კანდიდატს დათო ჭუმბურიძეს, ასევე, ორი კონკურენტუნარიანი ოპოზიციონერი კანდიდატია მარნეულში. მიმდინარეობს ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფების ურთიერთთანამშრომლობის პროცესი. დამთავრდა ის პერიოდი, როდესაც ნაციონალური მოძრაობისადმი წინააღმდეგობის გამო ყველა „ქართულ ოცნებას“ აძლევდა ხმას. ასე აღარ არის, – განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

თამარ ჟვანია მზად არის, პარლამენტში მივიდეს

ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია მზად არის, პარლამენტში მივიდეს. ცესკოს თავმჯდომარემ ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნას ინტერპელაციის წესით მის დაბარებასთან დაკავშირებით „ფეისბუქის“ საშუალებით უპასუხა და აღნიშნა, რომ მზად არის, ნებისმიერ შეკითხვას გასცეს პასუხი.

– მინდა გამოვეხმაურო ინტერპელაციის წესით პარლამენტში დაბარების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას და აღვნიშნო, რომ, როგორც ყოველთვის, მზად ვარ, ნებისმიერ შეკითხვას გავცე პასუხი, უფრო მეტიც, მნიშვნელოვანია და ჩვენს ინტერესშია, საზოგადოებას მივაწოდოთ ზუსტი ინფორმაცია. ყოველთვის მივესალმები დიალოგს ნებისმიერი ფორმით! – წერს თამარ ჟვანია.

ექსპერტები კავკასიაში ისლამური სახელმწიფოს ქსელის გაძლიერებას ვარაუდობენ

რატომ მალავს ჩეჩნეთის ხელმძღვანელობა ტერორისტული ჯგუფის დაკავების ფაქტს?

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოხსენების თანახმად, საქართველოში მცხოვრებ ისლამური სახელმწიფოს შესაძლო მხარდამჭერთა რაოდენობა 2018 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა. ამის მიუხედავად, ტერორისტული საფრთხის სრულად გამორიცხვა შეუძლებელია.

სუს-ის შეფასებით, ამ პერიოდში საქართველოსთვის ძირითად ტერორისტულ გამოწვევას ისლამური სახელმწიფო და მასთან დაკავშირებული დაჯგუფებები წარმოადგენდნენ.

კავკასიის საკითხებზე მომუშავე ანალიტიკოსები ისლამური სახელმწიფოს ქსელის გაძლიერებას ჩრდილოეთ კავკასიაში ვარაუდობენ. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჯიჰადისტებმა დაკარგეს თავიანთი ტერიტორიები სირიასა და ერაყში და ცდილობენ გააქტიურებას მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, მათ შორის, კავკასიაში.

ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები წინა წლებში იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებსა და რუსეთის ფედერაციის სხვა ადგილებზე. ზოგიერთი მათგანი სირიასა და ერაყში ნამყოფი არ იყო, ტერორისტულ აქტებს კი ადგილებზე აწყობდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციების, ასევე ტერორისტული აქტების შესახებ მუდმივად ვრცელდებოდა ინფორმაცია.

ამ დღეებში ჩეჩნეთში სხვაგვარი მოვლენები ვითარდება. 13 მაისს იქ დაკავეს 9 პირი, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან ტერორიზმში. დაკავებულები ისლამური სახელმწიფოს წევრები არიან. ისინი დაჯგუფებას რამდენიმე თვის წინ ჩეჩნეთიდან შეუერთდნენ.

მანამდე ორი დღით ადრე რადიკალი ისლამისტების წყარომ გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, რომელიც ასახავს 22 აპრილს ჩეჩნეთის ურუს-მარტანის რაიონში მომხდარ თავდასხმას. კერძოდ, ჯიჰადისტებმა იერიში მიიტანეს ძალოვნებზე.

ჩეჩნეთის ოფიციალური სტრუქტურები არც ამ თავდასხმას ადასტურებენ და არც 9-კაციანი ჯგუფის დაკავებას.

– ჩეჩნეთში აგრძელებს მოქმედებას ისლამური სახელმწიფოს უჯრედი. ამ ჯგუფის დაკავება რეალობაა. ესაა საპასუხო რეაქცია იერიშზე ძალოვნების წინააღმდეგ, – აცხადებს უსაფრთხოების ექსპერტი ახმეტ იარლიკაპოვი.

იგი ამბობს, რომ ტერორისტების წყაროებით გავრცელებული ვიდეოჩანაწერი სარწმუნოა. არსებობს მოსაზრება, რომ ტერორისტები თავდასხმების შესახებ ფეიკებსაც ავრცელებენ იმ მიზნით, რომ არ დაკარგონ ძველი თანამზრახველები და ახლებიც გადაიბირონ.

ექსპერტების აზრით, ახლების მოზიდვა ადგილებზე მოხდება. სირიაში დარჩნენ კავკასიიდან წასული ჯიჰადისტები, მაგრამ მათ ჩრდილოეთ კავკასიაში დაბრუნების მინიმალური შანსი აქვთ. მათ საზღვრის გადმოკვეთა გაუჭირდებათ.

ისლამური სახელმწიფოს ინტერნეტპროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო კოალიციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ცხადდება.

აშშ-ის ხელმძღვანელობით შექმნილი ანტიტერორისტული კოალიცია ჯერ ისევ მოქმედებს.

კოალიციის დასკვნით, ისლამურმა სახელმწიფომ დაკარგა ტერიტორიების 100% სირიასა და ერაყში. ამჟამად დაჯგუფებამ იატაკქვეშეთში გადაინაცვლა. ახლო აღმოსავლეთში არსებობენ ამ ტერორისტული ორგანიზაციის მხარდამჭერი მებრძოლები და პოლიტიკური აქტივისტები. ეს დაჯგუფება ხელს უშლის სირიასა და ერაყში დანგრეული რეგიონების აღდგენას.

კოალიციის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ ისლამური სახელმწიფოს ტერორისტებისაგან მოსალოდნელია იმ ტერიტორიების კიდევ ერთხელ მიტაცება, რომლებსაც ისინი წინა წლებში სირია-ერაყში დაეპატრონნენ.

ექსპერტების პროგნოზით, ჩრდილოეთ კავკასიაში მოსალოდნელია ახალი პირების ჩაბმა ტერორიზმში და მათი დისტანციური პარტნიორობა ისლამური სახელმწიფოს ზედა სტრუქტურებთან.

სუსის უფროსი საქართველოში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა საქართველოში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელ როზარია პულისისთან შეხვედრა გამართა.

მხარეებმა ნატო-ს სამეკავშირეო ოფისსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები მიმოიხილეს. საუბარი საქართველოში და რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოს შეეხო, ხაზი გაესვა გლობალური გამოწვევების დასაძლევად საქართველოსა და ნატოს მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას.

ვახტანგ გომელაური საფრანგეთის ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების გენერალური სამდივნოს (SGDSN) დელეგაციას შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა საფრანგეთის ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების გენერალური სამდივნოს (SGDSN) დელეგაციასთან შეხვედრა გამართა. დელეგაციას საფრანგეთის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების გენერალური სამდივნოს (SGDSN) უფროსის მოადგილე ფრანსუა-გზავიე დე ვუალემონი ხელმძღვანელობდა. შეხვედრის მიზანი კიბერუსაფრთხოების სფეროში უწყებათაშორისი გამოცდილების გაზიარება იყო. მხარეებმა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და საფრანგეთის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების გენერალური სამდივნოს შორის ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები დასახეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოში საფრანგეთის ელჩი პასკალ მენიე, სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დირექტორი კობა კობიძე და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი ნინო გიორგობიანი.

კახა ოქრიაშვილი: „თუ ბანკებს აეკრძალებათ არაპროფილური აქტივების ფლობა, იმ დღესვე გავასხვისებ PSP დაზღვევას“

– დღეს კომერციული ბანკები მთლიანად საქართველოს, როგორც ბიზნესს, ისე ადამიანებს ფინანსურ მონობაში ამყოფებენ, – ასე ეხმაურება PSP ჯგუფის დამფუძნებელი კახა ოქრიაშვილი „კომერსანტთან“ „თიბისი დაზღვევის“ გენერალური დირექტორის პაატა ღაძაძის განცხადებას, რომლის მიხედვითაც „თიბისი დაზღვევასა“ და „თიბისი ბანკს“ შორის ბიზნესინტერესთა კონფლიქტი არ არსებობს.

როგორც ოქრიაშვილი განმარტავს, დღეს ბაზარზე არსებულმა ორმა ლიდერმა ბანკმა აუცილებლად უნდა გაყიდონ მათივე საკუთრებაში არსებული არაპროფილური ბიზნესები, კომპანიები და ნორმალურ საბანკო სისტემას დაუბრუნდნენ.

– მაგალითად, საქართველოს ბანკი ფლობს 2 სადაზღვევო კომპანიას, თბილისის წყალს და ასე შემდეგ. მთელ საქართველოს აქვს თიბისი ბანკისა და საქართველოს ბანკის გაუსტუმრებელი სესხები. ამ ორ ბანკს აქვს დამონებული მთელი ჩვენი ქვეყანა. ამიტომ, არ მიდის ქვეყანა წინ. ის, რომ ამ ორმა ბანკმა დაიმონა ქართველი ხალხი, პასუხისმგებლობა ეკისრებათ პოლიტიკოსებს, როგორც ნაციონალურ მოძრაობის მხრიდან, ასევე „ქართულ ოცნების“ მხრიდანაც, – აცხადებს ოქრიაშვილი.

მისი განცხადებით, სადაზღვევო კომპანიას სხვა ბიზნესების ფლობის უფლება არ უნდა ჰქონდეს და, პირიქით, რადგან სადაზღვევოც ფინანსური ინსტიტუტია, როგორც ბანკი. ასე იყო 2006 წლამდე.

„კომერსანტის“ კითხვაზე, ხომ არ მოდის აღნიშნული განცხადება წინააღმდეგობაში მისივე ბიზნესინტერესთან, გამომდინარე იქიდან, რომ PSP ჯგუფში შედის როგორც სადაზღვევო კომპანია, ისე საავადმყოფო და აფთიაქი, ოქრიაშვილი განმარტავს, რომ PSP ჯგუფი იძულებული გახდა, არასამართლიან წესებში ყოფილიყო ჩაბმული.

– არანაირი სურვილი არ გვაქვს სადაზღვევო კომპანიის ფლობის. როგორც კი ბანკებს არაპროფილური აქტივების ფლობა აეკრძალებათ, იმ დღესვე გავასხვისებ PSP დაზღვევას, – აცხადებს ოქრიაშვილი.

შეკითხვაზე, ახლა რატომ არ ასხვისებს PSP დაზღვევას, ოქრიაშვილი განმარტავს: „ვადაზე ადრე რატომ ჩავბარდე? ამ არასამართლიან წესებს აღარ შევებრძოლოთ?“ – აცხადებს ოქრიაშვილი.

ბიზნესმენის მიერ ბანკების მხრიდან არაპროფილური ბიზნესის ფლობის თემაზე „კომერსანტმა“ კომენტარი სთხოვა როგორც საქართველოს ბანკის, ასევე თიბისი ბანკის შესაბამის უწყებებს.

– კახა ოქრიაშვილის საპასუხოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბანკი არაპროფილურ აქტივებს არ ფლობს. ბანკების მხრიდან არასაბანკო აქტივების ფლობა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონით რეგულირდება. ამასთან, საქართველოს ბანკმა არაერთხელ განაცხადა, რომ „სს საქართველო ბანკი არ ფლობს არაპროფილურ აქტივებს. 2018 წლის 29 მაისს დასრულდა ერთ-ერთი უმსხვილესი საბანკო და საინვესტიციო ჯგუფის „ბიჯეო ჯგუფის“ (BGEO Group PLC) გამიჯვნის პროცესი. 10-წლიანი წარმატებული საქმიანობის შემდეგ, „ბიჯეო ჯგუფი“ გაიყო ორ დამოუკიდებელ ჯგუფად და საქართველოს ბანკის ჯგუფი (Bank of Georgia Group PLC) საბანკო სფეროში განაგრძობს მოღვაწეობას, ხოლო საქართველოს კაპიტალი (Georgia Capital PLC) – საინვესტიციო მიმართულებით.

თითოეული ჯგუფის აქციები ცალ-ცალკე განთავსდა ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტში და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ივაჭრებს. თითოეულ ჯგუფს დამოუკიდებელი დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოები მართავს. შესაბამისად, საინვესტიციო კომპანია სს საქართველოს კაპიტალის (ან მისი ჰოლდინგური კომპანიის Georgia Capital PLC-ის) მიერ განხორციელებული ბიზნესაქტივობები, მათ შორის ამა თუ იმ კომპანიაში ინვესტირება, არავითარ იურიდიულ და სტრუქტურულ კავშირში არ არის სს საქართველოს ბანკთან. ამავე დროს, საქართველოს ბანკი არ ფლობს ისეთი სახის აქტივებს, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად არაპროფილურ აქტივებად შეიძლება იყოს მიჩნეული. – განგვიცხადეს საქართველოს ბანკში.

რაც შეეხება თიბისი ბანკის, პასუხის მიღებისთანავე შემოგთავაზებთ.

ბაგებში „მეტრა დეველოპმენტის“ ახალი კორპუსის მშენებლობის ნებართვის მოქმედება შეჩერდა

ბაგებში მდებარე „მეტრა პარკის“ საცხოვრებელი კომპლექსის მობინადრეებმა სასამართლო დავაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ამის თაობაზე „კომერსანტს“ მობინადრეების ადვოკატმა გენადი ზარანდიამ აცნობა.

მისი თქმით, გასულ კვირაში თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოსცა განჩინება, რომლის ძალითაც თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 მარტის №4415185 ბრძანება შეჩერდა. ანუ, შეჩერდა მშენებლობის იმ ნებართვის მოქმედება, რომელიც არქიტექტურის სამსახურის მიერ კომპლექსის მოსახლეობის სამართლიანი პროტესტის და საპროექტო დოკუმენტაციაში არსებული მრავალრიცხოვანი ხარვეზის უგულებელყოფის ფონზე იყო გაცემული.

– პროექტი ცალსახად ეწინააღმდეგება გარემოს დაცვისა და ჯანსაღი გარემოს შექმნის კანონმდებლობით რეგლამენტირებულ ნორმებს, უკვე არსებული მობინადრეების ინტერესებს და რაც მთავარია, ქმნის სერიოზულ საფრთხეებს კომპლექსის მიმდებარე გარემოსთვის ეკოლოგიური თვალსაზრისით. მშენებლობის ნებართვის შეჩერებით სასამართლომ ერთადერთი სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო, რადგანაც საქმეში არსებული მტკიცებულებათა სტანდარტი პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ საპროექტო სამუშაოების განხორციელება ზიანს მიაყენებს და ხელყოფს მოსარჩელეთა კანონიერი უფლებებსა და ინტერესებს (ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრება, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვა). ამ საფრთხეების თაობაზე არაერთ საექსპერტო დასკვნაშია აღნიშნული, რაც ყველა დაინტერესებულ პირისთვის, მათ შორის თბილისის მერიისთვისაც იქნა წარდგენილი, – აცხადებს ზარანდია.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დასაბუთებული დიდი ეჭვითა და წარდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა მოსარჩელეთა უფლებების რეალიზაციისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შეუძლებლობის საფრთხე, რაც გახდა კიდეც შეჩერების მექანიზმის გამოყენების საფუძველი.

კომერსანტი

ჭიათურა-მანგანეზის მაღაროელები გაფიცვას აგრძელებენ – გარე ძალისგან მართული პროცესი თუ გაუსაძლისი სამუშაო გარემო

ჭიათურაში, შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სამთო გამამდიდრებელ კომბინატში დასაქმებულთა ნაწილი გაფიცულია. ისინი სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და ხელფასების მომატებას ითხოვენ. „ჯორჯიან მანგანეზი“ მიიჩნევს, რომ „ჭიათურაში, დღეს მიმდინარე პროცესები გარე ძალების მიერ არის მართული და მიზნად ისახავს, ჭიათურაში დაგეგმილი შუალედური არჩევნების პერიოდში მუშამოსამსახურეების გამოყენებას, რაც „ჯორჯიან მანგანეზისთვის“ კატეგორიულად მიუღებელია“.

„ჯორჯიან მანგანეზშია“ დასაქმებული რომანი კუპატაძე სამთო მუშის პოზიციაზე მუშაობს. კუპატაძე „კომერსანტთან“ საუბარში აცხადებს, რომ სამთო გამამდიდრებელ კომბინატში დასაქმებულთა უფლებები მნიშვნელოვნად ირღვევა, რის შესახებაც კომპანიის ხელმძღვანელობას ინფორმაცია აქვს, თუმცა არაფერი იცვლება.

– მოვითხოვთ ხელფასის ზრდასა და ადამიანური მოპყრობას. გვეუბნებიან, რომ 12 საათში 15-წუთიანი შესვენება გეკუთვნის, საჭმელი ფეხზე მდგომმა უნდა ჭამოო, ყავის და ჩაის დალევა სამსახურში არ შეიძლებაო, გეგმა უნდა გამოიტანო 200 პროცენტითო. მაღაროსთან გვაქვს შეხება და გვჭირდება ექიმი, ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ქალაქი ბინძურდება და ნადგურდება. ესაა ჩვენი პრობლემები, რასაც ყურადღება უნდა მიაქციონ... სანამ შეთანხმებას არ მივაღწევთ, ასე ვიქნებით ბიჭები, მთელი ჭიათურა ერთმანეთის გვერდით დავდგებით, – აცხადებს რომან კუპატაძე.

ინფორმაცია მუშების გაფიცვის შესახებ ადგილობრივმა პროფკავშირმა გაავრცელა. ჭიათურის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე პაატა სამხარაძე აცხადებს, რომ გაფიცვა ე.წ. ვახტურ რეჟიმზე დაიწყეს. მისი თქმით, სხვა 4 მაღაროო ჯერჯერობით მუშაობს. შეუერთდებიან თუ არა ვახტაზე მომუშავე მაღაროელებს, სხვა მუშები ჯერჯერობით უცნობია.

– ვახტურ რეჟიმზე მომუშავეები მოითხოვენ საერთო საცხოვრებელში „სანატორიუმს“ რასაც ეძახიან იქ პირობების გაუმჯობესებას. მათ არ აქვთ არანაირი სამედიცინო პუნქტი. მოთხოვნა აქვთ, რომ ქალაქში საავადმყოფო აშენდეს და მძიმე ტონიანმა მანქანებმა არ იმოძრაონ. ერთი ხიდი დაინგრა, მეორე შეიძლება მიჰყვეს. ინვენტარი მოძველებულია, კვება ყოველთვის იყო ცუდი. ამ ყველაფერზე საუბარი არა ერთხელ გვქონდა, თუმცა ამის მიუხედავად პრობლემები ვერ მოგვარდა. ადმინისტრაციამ ჩვენი თხოვნა ყურად არ იღო. საბოლოო ჯამში იქამდე მიიყვანეს ადამიანები, რომ ქუჩაში გამოვიდნენ, – განაცხადა პაატა სამხარაძემ.

პაატა სამხარაძე განმარტავს, რომ ვახტური რეჟიმი გულისხმობს 15 დღიან სამუშაო გრაფიკს. მისი თქმით, დასაქმებულს 15 დღე, სამსახურიდან სახლში წასვლა არ შეუძლია. როგორც სამხარაძე აცხადებს, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, კომპანია პასუხისმგებელია თანამშრომლების ტრანსპორტირებაზე და ისინი მათთვის მოწყობილ საცხოვრებლებში გადაჰყავთ, ასევე კომპანია პასუხისმგებელია მათ კვებაზე.

– ვახტაზე 300 კაცი მუშაობს. პირველი ორი კვირის განმავლობაში მუშაობს 150 კაცი, შემდეგი 2 კვირა მეორე 150. ყოველდღე 12 საათი მუშაობენ. მათი ხელფასი არ შეესაბამება იმ ანაზღაურებას, რომელ პირობებშიც მუშაობენ. უმაღლესი სატარიფო თანხა დღეში 82 ლარი. 15 დღეში, ფაქტობრივად, ერთი თვის სამუშაოს ასრულებენ. კანონით კვირაში 40 საათი უნდა იმუშაოს და ესენი მუშაობენ 70 საათზე მეტს, ეს არის შრომითი კოდექსის უხეში დარღვევა, – განაცხადა პაატა სამხარაძემ.

ჭიათურის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილის თქმით, მათ მინისტრსაც მიმართეს.

– 3 იანვარს ვიყავი ჩასული თბილისში, ჯანდაცვის სამინისტროში, ყველაფერი დეტალურად მოვყევი, წერილი დავუტოვე დავით სერგეენკოს, თუმცა არანაირი პასუხი არ მიმიღია. სახელმწიფო ამ პრობლემებს ყურადღებას არ აქცევს, – აღნიშნა პაატა სამხარაძემ.

როგორც „კომერსანტს“ პაატა სამხარაძემ განუცხადა „ჯორჯიან მანგანეზის“ საგანგებო მმართველი ნიკოლოზ ჩიქოვანი გაფიცულ ჯგუფთან მივიდა. მისი თქმით, იყო საუბარი, რომ გარკვეული ჯგუფი შეკრებილიყო და მოლაპარაკების მაგიდასთან დამსხდარიყვნენ, თუმცა გაფიცულმა მაღაროელები კომპანიის ამ შეთავაზებაზე უარი თქვეს.

განვითარებულ მოვლენებზე „კომერსანტთან“ საუბრობს „ჯორჯიან მანგანეზის“ ადმინისტრაციის უფროსი ირაკლი პეტრიაშვილი. მისთვის გუშინ დილით გახდა ცნობილი, რომ მაღაროელები ხელფასის მატებას ითხოვდნენ. როგორც პეტრიაშვილი განმარტავს, პროტესტის მიზეზი მხოლოდ საკვების ხარისხის იყო.

– ამ ადამიანებს აქვთ სამჯერადი კვება, მათ ადგილზე მიყვანასა და „სანატორიუმში“ დაბრუნებას კომპანია უზრუნველყოფს. გუშინ მუშებმა გამოთქვეს გარკვეული ტიპის პრეტენზია საკვების ხარისხთან დაკავშირებით. პროცესებში ადმინისტრაცია მყისიერად ჩაერთო. შევთავაზეთ გააკეთონ მონიტორინგი, მენიუს გაუწიონ კონტროლი და თუ იქნება გარკვეული ტიპის ხარვეზები, ჩვენ მათ შენიშვნას აუცილებლად გამოვასწორებდით. მუშების კვებაში თანხას კომპანია იხდის და არავის აქვს სურვილი უხარისხო პროდუქტში გადავიხადოთ ფული. შეთანხმება შედგა, თუ დილის საუზმე დამაკმაყოფილებელი იქნებოდა ისინი სამუშაოზე წავიდოდნენ. თუმცა დილით არც ერთ თანამშრომელს საკვები არ გაუსინჯავს, ყველანი გარეთ დაგვხვდნენ. კიდევ შევთავაზეთ საკვების მუდმივი მონიტორინგი, რაზეც უარი გაგვიცხადეს და წამოაყენეს 50-პროცენტიანი ხელფასის მატება. ერთი წელი არ არის გასული, რაც ხელფასების მატება მოხდა – 10 პროცენტით. ხელფასთან დაკავშირებით მათ წერილობითი მოთხოვნაც არ ჰქონიათ. თვითღირებულებაში ყველაზე დიდი წილი ხელფასს უკავია და ეს წილი არის 60 %, – განმარტავს ირაკლი პეტრიაშვილი.

ირაკლი პეტრიაშვილი მაღაროელების მიერ გაჟღერებულ პრობლემებს პასუხობს და განმარტავს, რომ ადმინისტრაციასა და მუშებს შორის კომუნიკაციის პრობლემა არასდროს ყოფილა და კომპანიის მხრიდან ყოველთვის არის მზაობა, რომ „ჯორჯიან მანგანეზში“ პრობლემები მოგვარდეს.

12-საათიანი სამუშაო გრაფიკი აქვთ, 15 დღის განმავლობაში, როცა ღამის საათებში უწევთ მუშაობა, 20-პროცენტიანი დანამატი ეძლევათ. მათ დღის განმავლობაში საათ-ნახევარი აქვთ შესვენება. გრაფიკი გვაქვს გამოკრული, სადაც 20-20-წუთიანი 5 დასვენებაა. არ შეესაბამება სიმართლეს, რომ 200%-იანი გეგმის შესრულება უწევთ. 100 პროცენტზე ზევით, ყოველ შესრულებულ პროცენტზე, ხელფასი ემატებათ. სასადილოში დავაყენეთ მონიტორები და ყველას შეუძლია ნახოს. თუ 200 პროცენტი შესრულებადია ე.ი. იქ დაგეგმარებაა არასწორი და როგორ უნდა მოვთხოვოთ 200 პროცენტის შესრულება. რაც შეეხება ჩაისა და ყავას, მაღაროში ჩაის მოსადუღებელი თუ აქვთ, იმ 20 წუთში შეუძლიათ ესეც გააკეთონ, არავინ უშლით.

კიდევ ერთი პრობლემა რომელიც სამთო გამამდიდრებელ კომბინატში დასაქმებულებს აქვთ სამედიცინო მომსახურების არარსებობაა. „ჯორჯიან მანგანეზის“ პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია.

ეს ადამიანები ცხოვრობენ „სანატორიუმში“, ეს არის მათი საცხოვრებელი ადგილი, იქ ხომ არ იქნება სამედიცინო პუნქტი. შენობა მდებარეობს ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილში, ადვილად მისადგომ გზაზე და რომ მიიღონ ექიმის კვალიფიციური დახმარება, არანაირი პრობლემა არაა. უფასოა სასწრაფო სამედიცინო დახმარებაც, არ ყოფილა შემთხვევა, გამოგვეძახოს და 10 წუთში არ მოსულიყვნენ.

– არ მიიჩნევთ საჭიროდ სამუშაო ადგილზე სამედიცინო პუნქტის არსებობას?

– სამუშაო ადგილზე რეგლამენტის მიხედვით ექთანის მომსახურებას არ ითვალისწინებს, რამეთუ ისინი მიდიან ისეთ სამუშაო ადგილზე, სადაც სასწრაფო დახმარება მარტივად მივა. ერთადერთი არის ის, რომ უბნის უფროსებმა უნდა ისწავლონ და ვასწავლეთ კიდევაც პირველად დახმარებას და ექნებათ ე.წ. აფთიაქები. ამაზე იყო საუბარი და თუ ამის სურვილი აქვთ, არ არის პრობლემა, ეს აფთიაქები შეძენილი გვაქვს და დავარიგებთ კიდევაც.

ერთი სიტყვით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს. როდის დაუბრუნდებიან მუშები სამუშაო ადგილებს, ჯერჯერობით თავადაც არ იციან.

კომერსანტი

კალმახის მწარმოებელი კომპანია „ალგოთი“ წილს ყიდის

„აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში დაფინანსებულ კალმახის მწარმოებელ კომპანია „ალგოთს“ პრობლემები აქვს. სწორედ ამ მიზეზის გამო კომპანიის მენეჯმენტი წილს ასხვისებს. კომპანიის დამფუძნებელი გიორგი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება კომპანიამ ფინანსური რესურსების სიმცირის გამო მიიღო. მისი თქმით, კომპანიაში განხორციელებული ინვესტიცია წარმოების გაფართოებას მოხმარდება. რაც შეეხება ინვესტორის ვინაობას, ღარიბაშვილი აცხადებს, რომ კომპანიაში წილით ქართველი ბიზნესმენი შევა.

დამატებით დეტალებზე ღარიბაშვილი არ საუბრობს.

„კომპანიაში ინვესტორის შესვლა იმანაც განაპირობა, რომ „ალგოთმა“ „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში 2013-2014 წლებში შეღავათიანი სესხი მიიღო, წარმოება დაიწყო, თუმცა, 2015 წელს თეთრიწყაროში სტიქიამ (ძლიერი წვიმა) თევზი სრულად გამინადგურა. მას შემდეგ, ბანკებმა სესხი არ მომცეს , გაჩერებული ვართ. 2013-2014 წლებში აღებულ სესხს კი დღემდე ვიხდი“, – აცხადებს ღარიბაშვილი.

მისი ინფორმაციით, დღეს სახელმწიფო მცირე მეწარმეებს თითქოს ეხმარება, მაგრამ რეალურად, ეს არაფერია. ღარიბაშვილის განცხადებით, ხელისუფლების დიდი სურვილია რომ თევზის ექსპორტი მოხდეს, თუმცა, ამისთვის არაფერს აკეთებს.

ღარიბაშვილის განმარტებით, თევზი მოთხოვნადი პროდუქტია და მისი რეალიზების პრობლემა არასდროს ყოფილა და არც იქნება. საუბარია, მხოლოდ ლაბორატორიების არ არსებობაზე და პროფესიონალი იხტიოლოგების სიმცირეზე.

– ინვესტორი იმიტომ მჭირდება, რომ საზღვარგარეთ პროდუქტის ლაბორატორიული შემოწმება საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, დეფიციტური იხტიოლოგის მოძიებაც ფინანსებთანაა დაკავშირებული.

მისი ინფორმაციით, ამ ეტაპზე კომპანიას წელიწადში 80-100 ტონის წარმოება შეუძლია, ინვესტირების და გადაიარაღების შემდეგ კი მოცულობა 300 ტონამდე გაიზრდება. როგორც ღარიბაშვილი განმარტავს, შპს „ალგოთი“ ქართული წარმოების კალმახს მომავალი წლიდან ექსპორტზეც გაიტანს.

ქართული კალმახის რეალიზაციას კომპანია წინა წლებში ადგილობრივ ბაზარზე, კონკრეტულად, კი მარნეულში ახდენდა. როგორც შპს „ალგოთის“ ხელმძღვანელი განმარტავს, კომპანიამ ოპერირება 2 წლის წინ დაიწყო. საწყის ეტაპზე მხოლოდ ინკუბატორი ჰქონდათ, თუმცა, მას შემდეგ, რაც 2015 წელს კომპანია შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამის ფარგლებში 136 500 აშშ დოლარით დაფინანსდა, გაკეთდა რამდენიმე რკინა-ბეტონის აუზი, რომელშიც თევზის მოშენება ხდება.

შპს „ალგოთი“ ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს რაიონში მდებარეობს.

კომერსანტი

ქობულიამ დაადასტურა, რომ არაფორმალური თამაშის წესები მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა

„ევროპული საქართველოს“ წევრი ზურაბ ჭიაბერაშვილი ეკონომიკის ყოფილი მინისტრის გიორგი ქობულიას პარლამენტში გამოსვლას მნიშვნელოვან პრეცედენტად აფასებს.

ჭიაბერაშვილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ყოფილმა მინისტრებმა და მთავრობის ლიდერებმა მათი თვალით დანახული მანკიერი მხარეების შესახებ ღიად ისაუბრონ.

– მე ვიტყოდი, რომ ეს არ არის ადამიანი, რომელიც ძალიან მჭახე განცხადებებით ლაპარაკობს, მაგრამ მან პოლიტიკურ ნაწილში დაადასტურა, რომ მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა არაფორმალური თამაშის წესები, ის წესები რომელთან შეჯახებაც მოუწია და ყველამ ვიცით, რომ არაფორმალური თამაშის წესები ბიძინა ივანიშვილისგან მოდის.

ეკონომიკურ ნაწილში ასევე ცხადად ითქვა, რომ ქვეყანაში არის სერიოზული ეკონომიკური პრობლემები, რომელიც განპირობებულია მმართველობის იმ სისტემით, რაც ივანიშვილმა ჩამოაყალიბა. სიახლე ბევრი რამ აღარ ყოფილა, მან იგივე ილაპარაკა გიორგი ისაკაძესთან ინტერვიუშიც.

ის, რომ ასეთი პოლიტიკური სისტემა გვაქვს, ადამბლავებს ბიუროკრატიის უნარს – მიიღოს სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილება და საბოლოოდ, ეს აისახება ეკონომიკურ ზრდაზე. არასაკმარისი ეკონომიკური ზრდა ნიშნავს ხელიდან გაშვებულ პოტენციალს, გაუფასურებულ ლარს, არშექმნილ სამუშაო ადგილებსა და გაზრდილ სიღარიბეს, რაც გვაქვს ოცნების პირობებში, – განაცხადა „საქმიანი დილის“ ეთერში ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

ქობულიას გამოსვლის შეფასებისას ჭიაბერაშვილმა აღნიშნა, რომ ქვეყანა მინიმალურ ეკონომიკურ პოტენციალსაც ვერ იყენებს, ამაზე პასუხი კი მხოლოდ 8 თვის განმავლობაში ეკონომიკის მინისტრად მომუშავე ქობულიას არ მოეთხოვება.

BMG

როგორ უნდა დაჩქარდეს ეკონომიკური ზრდა საქართველოში – კრისტინ ლაგარდის პასუხი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა ყაზახეთში მიმდინარე ეკონომიკურ ფორუმზე bm.ge-ს შეკითხვას უპასუხა საქართველოში არსებულ ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით. ჩვენ ასევე დავინტერესდით, რა ნაბიჯები უნდა გადადგას ქვეყანამ, რომ ეკონომიკური ზრდა დაჩქარდეს.

როგორც კრისტინ ლაგარდმა აღნიშნა, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის სწორი ინვესტიციებია საჭირო, მათ შორის, განათლების რეფორმაში, რაზეც დილით ამავე ფორუმზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა.

– ბევრ მიმართულებაში საქართველო ამკვიდრებს ძალიან კარგ სტანდარტებს. ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, კარგი მმართველობის პრინციპები, ასევე, გადასახადების ადმინისტრირების მიმართულებით.

ვხედავთ პროგრესს ბოლო წლების განმავლობაში და ვიმედოვნებთ, რომ პროცესი ასე გაგრძელდება, რადგანაც ეს კარგი პრაქტიკაა, რომელიც უნდა გააგრძელოს საქართველომ.

ეკონომიკის ზრდა საქართველოში საკმაოდ ძლიერი იყო. ეს იყო 4,7% გასულ წელს და წელს პროგნოზი 4,6%-ია, რაც იზრდება 2020 წლისთვის.

ვიმედოვნებთ, რომ მდგრად ზრდას ხელს შეუწყობს სწორი ინვესტიციები, მაგალითად, როგორიცაა ინვესტიცია განათლებაში, რომელზეც ისაუბრა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, – აცხადებს კრისტინ ლაგარდი.

BMG

„იაგო ნებიერიძის მხრიდან ნანიკო ბერიაშვილის მიმართ სექსუალური ქმედება დასტურდება“

პროკურორის განცხადება

გორში მოკლული 9 წლის ნანიკო ბერიაშვილის საქმის პროკურორის განცხადებით, ექსპერტიზით, მოკლული გოგონას მიმართ ბრალდებულის მხრიდან სექსუალური ხასიათის ქმედება დასტურდება.

როგორც ჟურნალისტებს საქმის პროკურორმა, ნანა გუგუტიშვილმა განუცხადა, აღდგენილია იაგო ნებიერიძის მიერ გადაღებული და მობილური ტელეფონიდან წაშლილი ჩანაწერი, რომელიც არასრულწლოვანთან ნებიერიძის მხრიდან სექსუალური ხასიათის ქმედებას ადასტურებს.

გუგუტიშვილი აცხადებს, რომ აღნიშნულ ქმედებას ბრალდებული ნებიერიძე საკუთარი ტელეფონით იღებდა, თუმცა, დაკავებამდე ფოტო და ვიდეოჩანაწერი წაშალა. პროკურორის თქმითვე, ექსპერტიზის ფარგლებში ჩანაწერის სრულად აღდგენა მოხდა.

– სასამართლომ გამოიკვლია არა მხოლოდ ვიდეომასალა, არამედ ფოტომასალაც, ექსპერტიზის დასკვნები, ნივთიერი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება აღნიშნულ ბრალში იაგო ნებიერიძის დამნაშავეობა.

ეს მასალა, ექსპერტიზის შედეგად, იაგო ნებიერიძის მობილური ტელეფონიდან არის აღდგენილი. ჩანაწერში დაფიქსირებულია გარდაცვლილი ნანიკო ბერიაშვილი, ქმედება, რომელსაც იაგო ნებიერიძე მასთან მიმართებაში ახორციელებს და საუბარი.

ეს არის იაგო ნებიერიძის მიერ გადაღებული ჩანაწერი. ის ამის გადაღებას მობილური ტელეფონიდან ახდენდა, მაგრამ დაკავებამდე წაშალა. აღნიშნული ჩანაწერი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ექსპერტიზის ფარგლებში აღდგა, გადაღების საათის და რიცხვის მიხედვით.

ექსპერტიზის მიხედვით, ხმა, რომელიც ვიდეოში ისმის, ნამდვილად იაგო ნებიერიძისაა, – განაცხადა გუგუტიშვილმა.

16 მაისის სხდომაზე ბრალდების მხარემ იაგო ნებიერიძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების გამოკვლევა დაასრულა.

– შემდეგ პროცესზე წარმოვადგენთ დასკვნით სიტყვას და სასამართლოს წინაშე მოვითხოვთ იაგო ნებიერიძის დამნაშავედ ცნობას წარდგენილ ბრალდებაში, ვინაიდან ამის საფუძველს გვაძლევს საქმეში არსებული მტკიცებულებები, – განაცხადა პროკურორმა.

შემდეგი სასამართლო სხდომა 21 მაისს, 10:30 საათზე დაინიშნა.

შეგახსენებთ, რომ გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილი 25 ოქტომბერს გაუჩინარდა. ის რამდენიმე საათში სამართალდამცველებმა გარდაცვლილი იპოვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით 33 წლის წარსულში ნასამართლევი იაგო ნებიერიძე დააკავეს.

იაგო ნებიერიძეს ბრალი წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ჩადენას.

ნებიერიძეს ასევე ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 109-ე მუხლით, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

100 მილიონის მოპარვისთვის 40.000 ადამიანის ანგარიშებიდან საქართველოში 2 ჰაკერი, NANI და PHANTOM, დააკავეს

40 ათასი ადამიანის ანგარიშიდან 100 მილიონზე მეტი მოიპარეს. დაზარალებულთა შორის არიან საქართველოს მოქალაქეები.

ის პირები, ვინც კომპიუტერული ვირუსი შექმნეს და საბანკო ანგარიშებიდან დიდი ოდენობით თანხა მოხსნეს, საქართველოში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოში მყოფი ჯგუფი ვირუსის საშუალებით ათასობით საბანკო ბარათზე წვდომას ახერხებდა და თანხას ხსნიდა.

„კურიერის“ ინფორმაციით, დაზარალებულთა შორის ბანკებიც არიან.

საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებები 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მასში ჩართული იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატები, ევროპის სხვადასხვა ქვეყანა, მათ შორის საქართველო.

კიბერთავდასხმის ორგანიზებული ჯგუფის წევრები საქართველოში იმყოფებოდნენ, საიდანაც სპეციალური შექმნილი ვირუსით ახდენდნენ კომპანიებისა და პირების ანგარიშების თანხიდან მოპარვას.

პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადებიდან ირკვევა, რომ ორი ჰაკერი საქართველოში დააკავეს. მათ სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

„საქართველოდან, აღნიშნულ ღონისძიებაში გენერალური პროკურატურასთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტრო მონაწილეობდა. ორი წლის მანძილზე, ამერიკელ კოლეგებთან ერთად ტარდებოდა საგამოძიებო მოქმედებები ტრანსნაციონალური ორგანიზებული კიბერდანაშაულის ქსელის იმ მონაწილეების გამოსავლენად და უტყუარი მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რომლებიც დანაშაულებრივ საქმიანობას საქართველოდან ახორციელებდნენ.

ამერიკელ კოლეგებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად იდენტიფიცირებულია კონკრეტული დაზარალებული კომპანიები და საქართველოში მყოფი ორი პირი. GozNym-ის ქსელის ლიდერის და ორგანიზატორის – ა.კ.-ს (რომელიც ცნობილია მეტსახელით „None“), აგრეთვე მისი მთავარი ასისტენტის, მ.კ.-ს (რომელიც ცნობილია მეტსახელით „Phantom“) მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ა.კ. და მ.კ. საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომლებმა 2019 წლის 8 მაისს მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

მათ იმავე დღეს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ბრალდება წარუდგინა.

კერძოდ, NONE-ს და PHANTOM-ს ბრალად ედებათ აშშ-ს ათამდე კომპანიის მიმართ ჩადენილ შემდეგ დანაშაულებზე: კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევისთვის (საქართველოს სსკ-ის 284-ე მუხლი); კომპიუტერული სისტემიდან კომპიუტერული მონაცემების უნებართვოდ მოპოვებისა და მათი უკანონოდ შენახვა-გავრცელებისთვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (158-ე მუხლი); კომპიუტერული მონაცემის და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენებისთვის (285-ე მუხლი); ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობისთვის, რამაც დიდი ოდენობით ზიანი გამოიწვია (177-ე მუხლი)“ – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

რეზო ნასიძე: „აბსურდია, რომ ექიმს ნარკოტიკის გამო დავარტყი“

– ის, რომ ადამიანს ნარკოტიკის გამო დავარტყი, აბსურდია, ეს ასე არ ყოფილა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ექიმის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქად დაზიანებაში ბრალდებულმა მსახიობმა რეზი ნასიძემ განუცხადა.

მან მის ბრალდებასთან დაკავშირებით პირველი კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ მას და ექიმს შორის დაპირისპირება ნარკოტიკის გამო არ მომხდარა.

– საერთოდ, ასეთი აზრი როგორ იბადება, ვერ ვხვდები. კლინიკაში სასწრაფომ მიმიყვანა, იქ ნარკოტიკისთვის მივედი და უარის გამო ავდექი და ექიმი ვცემე? თან ცემასა და ლოგინიდან ადგომის გარეშე ერთ დარტყმას შორის დიდი სხვაობაა, რომელსაც საფუძვლად რა უდევს, ლოგიკურად შეიძლება დაინახო. ერთხელ ადამიანს მწოლიარე რომ დაარტყამ, ლოგიკურად სხვა მიზეზი უნდა იყოს. ნარკოტიკი ლოგიკური მიზეზი არ არის, – განაცხადა ნასიძემ.

როგორც მსახიობი აცხადებს, ის დემონსტრაციულად დასაჯეს.

– უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ჩემი დაკავება და რაღაც დროით დასჯა ძალიან დემონსტრაციულად მოხდა. თითქოს, წინასწარვე გამომიტანეს განაჩენი. ჩემი აზრით, რასაც ბევრი არგუმენტი უდევს საფუძვლად, ეს მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ ტელევიზიით გაუღერდა ეს ამბავი, გახმაურდა. ჩემთვის გულდასაწყვეტია, რომ ამისთვის შეიძლება ადამიანს მოექცნენ ისე, როგორც მე მომექცნენ, დემონსტრაციულად მოხდა ჩემი დასჯა.

უკმაყოფილების გრძნობა მაქვს ჟურნალისტებისა და ტელევიზიების მიმართ, რომლებმაც თავდაპირველად არაადეკვატურად გააშუქეს ეს მოვლენა კლინიკის წარმომადგენლის ფეისბუქზე მოყოლილი ზღაპრიდან, – განაცხადა ნასიძემ.

გუშინ, 16 მაისს, სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მოწმეები დაიკითხნენ, კერძოდ კი საავადმყოფოს დაცვის თანამშრომელი, გამომძიებელი და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმი, რომელმაც ნასიძე კლინიკაში გადაიყვანა.

მოწმის სახით დაკითხულმა ექიმმა სასამართლოში განაცხადა, რომ რეზი ნასიძე შველას ითხოვდა, ძლიერი თავის ტკივილები და მაღალი ტემპერატურა ჰქონდა. მისივე ცნობით, ნასიძე გამოკვლევის მიზნით, სტაციონარში გადაიყვანეს.

კლინიკის დაცვის თანამშრომელთან კითხვები ჰქონდა თავად ბრალდებულსაც. ნასიძემ მას ჰკითხა, მიაყენა თუ არა ექიმმა შეურაცხყოფა და უთხრა, თუ არა, რომ ის უზრდელი იყო. მას მსახიობმა ასევე ჰკითხა, მომხდარის გამო მოუხადა თუ არა იქ მყოფებს ნასიძემ ბოდიში. რაც დაცვის თანამშრომელმა დაადასტურა.

შემდეგი სასამართლო სხდომა 3 ივნისს, 16:00 საათზე დაინიშნა.

მსახიობ რეზი ნასიძესა და ექიმ ნოე ბერიშვილს შორის ინციდენტი მრავალპროფილიან კლინიკურ საავადმყოფოში მოხდა, სადაც ნასიძე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა მაღალი სიცხით შეიყვანა. სამედიცინო პერსონალის განმარტებით, კონფლიქტი პაციენტის საავადმყოფოში შეყვანიდან 13 წუთში დაიწყო.



გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს და ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ექვს თვემდე ან შინაპატიმრობით, ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად პოლიციამ ნასიძე მოსამართლის განჩინების საფუძველზე იანვარში დააკავა.

ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმეში დ.ღ. დამნაშავედ ცნეს

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეში ცრუ ჩვენების მიცემაში ბრალდებული არასრულწლოვანი დ.ღ. საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე პროკურატურა დასკვნითი სიტყვით წარდგა, სასჯელის დანიშვნის სხდომა კი 22 მაისს გაიმართება.

დ.ღ. 2017 წლის პირველ დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ძირითადი საქმიდან გამოყოფილი საქმის ფარგლებში დააკავეს.

მოგვიანებით ის 5.000 ლარიანი გირაოს საფუძველზე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. არასრულწლოვანს ექვსთვიანი საპატიმრო ვადა 19 იანვარს ეწურებოდა.

„შარვალს როდესაც მხდიდნენ, ბოთლს მადებდნენ“

16 წლის ბიჭი პოლიციელებს გაუპატიურების მცდელობასა და ცემაში ადანაშაულებს

16 წლის თემურ ასლამაზიშვილი პოლიციას ფიზიკურ შეურაცხყოფასა და გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებს.

როგორც არასრულწლოვანმა თავის უფლებადამცველებთან ერთად ჟურნალისტებს განუცხადა, ოქტომბერში ის ქურდობის გამო დაიკავეს, სამართალდამცავები კი აღიარებითი ჩვენებისა და მოპარული ოქროს ნივთების შენახვის ადგილის დასახელებას სთხოვდნენ.

მისივე თქმით, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურას გამოცემული აქვს დაზარალებულად ცნობის დადგენილება, სადაც წერია, რომ არასრულწლოვანს დაემუქრნენ, რომ დასვამდნენ ბოთლზე, გააუპატიურებდნენ, გადაიღებდნენ ვიდეოზე და გაავრცელებდნენ.

– გამიყვანეს პოლიციაში. შემიყვანეს უკნიდან, როდესაც შემიყვანეს, იქ დამხვდა თორნიკე ონიანი, რომელიც არის, მგონი, პოლიციის უფროსი. ის დაახლოებით, 10-15 წუთის განმავლობაში მცემდა. როდესაც ვერაფერი მათქმევინა, თან ეჩქარებოდა, უთხრა ბიჭებს, მიხედეთ და თქვენ ათქმევინეთ, რაც მე ვერ ვათქმევინეო.

შემდეგ, როდესაც წავიდა, იქ დარჩა 7 კაცი. მათ გააგრძელეს შეურაცხყოფები, ფურთხება, გინება და მუქარა, რომ თუ არ იტყვი, ვინ იყო შენთან ერთად და ის დანარჩენი ოქრო სად იმალება, ბოთლზე დაგსვამთ.

როდესაც ეს მითხრეს, ერთ-ერთი ადამიანი მეორე ოთახში გავიდა და გამოიტანა ბოთლი. ვანო ქევხიშვილი და ერთ-ერთი პირი, რომელიც იყო პოლიციელი, მოვიდნენ და მეჯიკავებოდნენ, რომ სკამიდან ავეყენებინე. შარვალს როდესაც მხდიდნენ, ამ ბოთლს მადებდნენ, თან ვიდეოსაც იღებდნენ მაგ დროს.

როდესაც წინააღმდეგობა გავუწიე, დამაგდეს, მცემეს, ვყვიროდი, ხელი მომტყდა, არავის სჯეროდა და უფრო მირტყამდნენ, გვატყუებსო. როდესაც მაიკა გამხადეს, როდესაც მოტეხილი ხელი დაინახეს, შეეშინდათ და გაიქცნენ.

ერთ-ერთი დარჩა, აკაკი უგრეხელიძე, რომელმაც წამიყვანა და გზაში მაგინებდა, მირტყამდა მოტეხილ ხელში. როდესაც შევიდა საავადმყოფოში, მშობლების გარეშე არ მივიღებთო და ეს გამწარებული რომ ჩაჯდა მანქანაში, აი რა დამმართეო, შენ გამო უნდა ვირბინოთ და ფული უნდა გადავყაროთო, მეუბნებოდა. რაც ახლა იმათ გითხრეს და ვერ გააკეთეს, ახლა მე რომ მიგიყვანო, გაგაუპატიურებთ და ვიდეოსაც გადავიღებთო. რაღაც წამალი იყო, მაგას დავლევთო, ისე შენთან ვერ მოვალო, – აღნიშნა დაზარალებულმა.

იტალიაში ქართველი ტურისტი ცემეს და გაძარცვეს

იტალიის ქალაქ პალერმოში უცნობმა პირებმა ქართველ ტურისტს სცემეს და გაძარცვეს. ამის შესახებ იტალიური მედია წერს.

ქართველი ტურისტი იტალიელ ადვოკატთან ერთად იყო. მათ ავტომობილთან 5 ადამიანი დაესხა თავს და ფიზიკურად გაუსწორდა, რის შემდეგაც ისინი გაძარცვეს.

სხვა დეტალები უცნობია. მომხდარზე პოლიციამ გამოძიება უკვე დაიწყო.

ვლადიმერ ზელენსკის ინაუგურაცია 20 მაისს გაიმართება

უკრაინის არჩეული პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი საპრეზიდენტო უფლებამოსილების შესრულებას 20 მაისიდან შეუდგება. სწორედ ეს თარიღი განსაზღვრა ქვეყნის ეროვნულმა რადამ პრეზიდენტის საინაუგურაციოდ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი 315-მა დეპუტატმა დაუჭირა.

ინაუგურაცია 20 მაისს, ადგილობრივი დროით 10:00 საათზე, უმაღლესი რადის შენობაში, საზეიმო სხდომათა დარბაზში შედგება.

მანამდე პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა ინაუგურაციის 19 მაისს გამართვას.

10 მაისს ვლადიმერ ზელენსკიმ უმაღლეს რადას მიმართა მოთხოვნით, პრეზიდენტის ინაუგურაცია 19 მაისს გამართულიყო. ამ მოთხოვნამ მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია, რადგან ქვეყანაში 19 მაისს პოლიტიკურ რეპრესიათა მსხვერპლის ხსოვნის დღე აღინიშნება.

აშშ-მ ერაყიდან საელჩოს ევაკუაცია დაიწყო

აშშ-მ ერაყიდან თავისი საელჩოს ევაკუაცია დაიწყო. მიზეზი რეგიონში პროირანული ექსტრემისტული საქმიანობის გააქტიურება და ტერაქტების საფრთხეა.

ამერიკელი სპეციალისტები თვლიან, რომ საელჩოს თანამშრომელთა სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მათი ევაკუაციის თაობაზე.

ტრამპის ადმინისტრაციამ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის გამო შეშფოთება გამოთქვა. ირანის კონტროლქვეშ მყოფი ტერორისტული ორგანიზაციები რეგიონში დილსოცირებულ ამერიკელ ჯარისკაცებზე თავდასხმებს გეგმავენ.

დონალდ ტრამპმა ოფიციალურად უარყო ამერიკული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ახლო აღმოსავლეთში 120.000 ამერიკელი ჯარისკაცის გაგზავნის თაობაზე.

– ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ პრობლემა ჯარის ჩარევის გარეშე მოგვარდეს, – ამბობს ტრამპი.

ამავე დროს, პრეზიდენტმა არც ძალის გამოყენება გამორიცხა.

– თუ აუცილებელი გახდა, არა 120.000, არამედ უფრო მეტ ჯარისკაცს გავგზავნით, – განაცხადა ტრამპმა.



ეკატერინბურგში საპროტესტო აქციები გრძელდება

როგორც ცნობილია, ეკატერინბურგის ომონმა სასტიკად დაარბია მოქალაქეთა საპროტესტო აქცია, რომელიც ქალაქის სკვერში მართლმადიდებლური ტაძრის აშენებას ეწინააღმდეგებოდა.

– სკვერი სკვერია, ტაძარი – ტაძარი! აქ ეკლესიის აშენება მართლმადიდებლობის შეურაცხყოფაა! – სკანდირებდნენ მომიტინგენი.

ომონის დარბევამ შედეგი არ გამოიღო. თუ წინა აქციების დარბევის შემდეგ პროტესტები ცხრებოდა, ახლა ასე არ მოხდა.

ეკატერინბურგელები ქუჩებში გამოვიდნენ. მათ და ომონს შორის ახალი შეტაკება მოხდა. ქალაქის მესვეურებმაც ხალხის წინააღმდეგ როსგვარდია გამოიყვანეს.

ვაშინგტონმა ვენესუელასთან საჰაერო მიმოსვლა შეაჩერა

აშშ-ის ტრანსპორტის სამინისტრომ ვენესუელასთან საჰაერო მიმოსვლა შეაჩერა. მიზეზი ამ ქვეყანაში არსებული ტერორი და განუკითხაობაა.

– დღეს ვენესუელაში უსაფრთხოების გარანტიას ვერავის მივცემთ, – ნათქვამია ტრანსპორტის სამინისტროს შეტყობინებაში.

კოლომოისკი უკრაინაში დაბრუნდა

ოლიგარქი იგორ კოლომოისკი უკრაინაში დაბრუნდა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ის ისრაელში ცხოვრობდა.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, უკრაინაში რა საქმიანობის დაწყებას აპირებთო, კოლომოისკიმ მიუგო:

– არ ვიცი!

მარია ბუტინა განაჩენს აპროტესტებს

როგორც ცნობილია, აშშ-ის სასამართლომ რუს მსტოვარ მარია ბუტინას 18 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

თავად ბუტინა კვლავ ამტკიცებს, რომ უდანაშაულოა. მან სააპელაციო საჩივარი შეიტანა.

– ჩემ მიმართ გამოტანილი განაჩენი უკანონოა, – ამბობს ბუტინა.

რუსეთის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი საზღვარგარეთ გაიქცა

რუსეთის კოსმოსური კვლევების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი იური იასკინი საზღვარგარეთ გაიქცა.

ის ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში მივლინებით იმყოფებოდა და სამშობლოში დაბრუნებაზე უარი თქვა.

ხსენებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „როსკოსმოსის“ შემადგენლობაში იმყოფება. „როსკოსმოსის“ პრესცენტრმა არსებული ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ზაალ ჩაჩავა: „ტორპედო ევროტურნირებზე გავა“

ქუთაისის ტორპედოში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება კლუბის პრეზიდენტი ზაალ ჩაჩავა, რომლის კომენტარი იმერული კლუბის სოციალური ქსელის გვერდზე გამოქვეყნდა.

ზაალ ჩაჩავა:

– კლუბის დატოვებას არ ვაპირებ. მიუხედავად იმ კრიზისისა, რაც კლუბიდან უცხოელი ინვესტორის წასვლამ განაპირობა, კლუბი აგრძელებს ფუნქციონირებას და კეთდება ყველაფერი იმისთვის, რომ ტორპედო ევროტურნირებზე გავიდეს და ეროვნულ ლიგაში იასპარეზოს.

ჩემი მოსვლის შემდგომ, თითქმის 3 წელია, ტორპედოს ძირითადი გუნდის სახელფასო ბიუჯეტი ყველაზე მაღალია საქართველოში და ჩვენი ფეხბურთელების ხელფასები თითქმის უთანაბრდება მათი უცხოელი კოლეგების შრომის ანაზღაურებას. წელსაც ყველანაირად ვცდილობდი, გამეხარებინა ჩვენი გულშემატკივარი და ვარსკვლავური გუნდი შემენარჩუნებინა, მაგრამ უცხოური ინვესტიციის გარეშე, სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში ეს საკმაოდ ძნელია.

იანვარში ამ გუნდის დაკომპლექტება და სახელფასო ბიუჯეტის დაგეგმვა მოხდა იმ პერსპექტიული შემოსავლის იმედად, რომლის მიღებასაც ვგეგმავდით უცხოელი ინვესტორის დაფინანსების ხარჯზე, რაც, სამწუხაროდ, არ მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ პირადად ვეცადე და ახლაც ძალიან ვცდილობ, შევინარჩუნო ტორპედოს ისტორიაში საუკეთესო გუნდი, თუ ეს ვერ მოხერხდება, მერწმუნეთ, ყველაზე მეტად ისევ მე დამწყდება გული, მაგრამ ერთხელ უკვე შევძელით და დამიჯერეთ, ისევ შევძლებთ გავხდეთ კონკურენტუნარიანი გუნდი და გავახაროთ ჩვენი ნამდვილი გულშემატკივარი.

ტორპედო ნებისმიერი შემადგენლობით ანგარიშგასაწევი ძალა იქნება და ჩვენ ამას ძალიან მალე დავამტკიცებთ.

დაბოლოს, რაც შეეხება პირადად ჩემ მიმართ არსებულ დაუსაბუთებელ ბრალდებებს, არ ვაპირებ მათზე კომენტარის გაკეთებას – ჩვენ საქმით დავამტკიცებთ, რომ კრიზისიდან გამოსვლა შეგვიძლია და ამით ძალიან ბევრს გავახარებთ.

კომენტარი გააკეთა ტორპედოს კაპიტანმა, საქართველოს ნაკრების მეკარემ როინ კვასხვაძემაც:

– ძალიან რთულია, როცა გუნდი ასეთ სიტუაციაში დგება, თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, საუბრები მიდის პრობლემების აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ჩვენ ისეთი ერთი გუნდი, ერთი ოჯახი ვართ, თუ ბიჭები დავსხდებით და დავილაპარაკებთ, ერთი კაციც არ გამოგვაკლდება და ბოლომდე ერთად ვიდგებით.

ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს მხოლოდ ჩვენი იმიჯი კი არა, ქალაქის სახელიცაა. ამის გამო ბევრ რამეზე უარის თქმა გვიწევს. იმედია ეს გუნდი შენარჩუნდება და აქ კიდევ ბევრ მატჩს ვითამაშებ, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. აქ ვარ, არსად წავსულვარ და არც ვფიქრობ წასვლაზე. იმედი მაქვს, დავლაგდებით და აქ კიდევ მრავალ წელს გავატარებ.

ექსპერტები გოგა ბითაძის ვარიანტებს განიხილავენ

20 ივნისის დრაფტია. ეს ნიშნავს, რომ ნბა ახალი კალათბურთელებით შეივსება, მომავალი ვარსკვლავებით. სასიხარულოა, რომ მათ შორის იქნება გოგა ბითაძეც. 19 წლის ქართველი კარიერას ოკეანისგაღმა გააგრძელებს.

უკვე ცნობილია, რომელ კლუბს დრაფტის რომელი ნომერი ხვდა წილად და ვარაუდებიც უფრო კონკრეტული გახდა.

ნბადრაფტმა მიმოიხილა ევროპელი ტალანტები და გოგა ბითაძეზე წინ მხოლოდ ფრანგი სეკუ დუმბია დააყენა.

– გოგამ ვერაფერი გააწყო ადრიატიკის ლიგის ფინალებში, ბუდუჩნოსტისა და ცრვენა ზვეზდას წინააღმდეგ, მაგრამ ეს ვერ შეცვლის წარმოდგენას ქართველი კალათბურთელის შესახებ. ბითაძე წლევანდელ სეზონში ნამდვილი „მხეცი“ იყო, როგორც ადრიატიკის ლიგაში, ისე – ევროლიგაში და მისი ფსონი დრაფტზე საკმაოდ მაღალია. ქართველი სრულყოფილი პროდუქტია და მზად არის ლიგაში ძალების მოსასინჯად. ამ სეზონში მან ბევრ ასპექტში მოუმატა, მაგალითად, პიკ ენ როლში და 1-2 ცუდი თამაში ხაზს ვერ გადაუსვამს იმას, რასაც ბითაძემ შრომით მიაღწია.

სხვადასხვა ვებგვერდი უკვე თავის პროგნოზს აკეთებს.

სპორტ ილუსტრეიდი:

– დალასი ოთხეულში ვერ მოხვდა და მისი პიკი ატლანტას შეხვდა. ბითაძე კარგი ვარიანტია, მან შეიძლება ატლანტაში ცენტრის კრიზისული სიტუაცია გამოასწოროს და თან მისი აყვანა გუნდის შენების პერსპექტივაშიც ბრწყინვალედ ჯდება. ქართველ ცენტრს ზურგს უმაგრებს შთამბეჭდავი სეზონი მეგა ბიმაქსსა და ბუდუჩნოსტში. მას ყველაფერი უწყობს ხელს, რომ ნბა-ს კარიერა წარმატებით დაიწყოს – სიმაღლე, მაღალ დონეზე თამაშის გამოცდილება, კარგი გადაადგილება მოედანზე, სროლის უნარი.

განსხვავებული აზრისაა ბლეჩერ რეპორტსი:

– გოგა ბითაძე ახლახან ევროლიგის ამომავალ ვარსკვლავად დაასახელეს. მისით სწორედ ლატარიის ზონაში არიან დაინტერესებულნი. ქართველმა ცენტრმა ამ სეზონში ბევრად გაიუმჯობესა მონაცემები, სროლაში, ნახტომში. გოგა, შესაძლოა, ასოციაციის დონეზე ვერ გახდეს შეტევაში მთავარი ინიციატორი და სუპერდამცველი, მაგრამ მას ყველა მოიაზრებს ლატარიის ზონის ბოლოსკენ ან პირველი წრის შუაში. სავარაუდოდ, ეს იქნება ბოსტონი.

იაჰუ სპორტსი:

– ოკლაჰომას ცენტრში დახმარება სჭირდება, რადგან სტივენ ადამსს ღირსეული შემცვლელი არ ჰყავს. გოგა ბითაძეს კი მრავალმხრივ განვითარებული უნარები აქვს.

მოკლედ, ყველას სხვადასხვა ვერსია აქვს. ვნახოთ, რა მოხდება 20 ივნისს.

20 წლამდე ნაკრები იმედიანად არის

4-22 ივნისს არგენტინაში მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატი გაიმართება. ცხადია, ამ ფორუმს საქართველოს ნაკრებიც დაესწრება, რომელმაც გასულ ტურნირზე მე-9 ადგილი დაიკავა. ეს კი ყველაზე წარმატებული შედეგია ამ ასაკში.

არგენტინაში ჩვენი გუნდი „გ“ ჯგუფში, ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკისა და შოტლანდიის ნაკრებებთან ითამაშებს. პირველი მატჩი 4 ივნისს, სანტაფეში ახალი ზელანდიის წინააღმდეგ საქართველოს დროით 20 საათზე დაიწყება, მომდევნო 2 შეხვედრა კი, როსარიოშია. უმცროსი ბორჯღალოსნების მეტოქე 8 ივნისს სამხრეთ აფრიკის, 12 ივნისს კი შოტლანდიის 20-წლამდელთა ნაკრები იქნებიან. ეს ორივე შეხვედრა 17:30 საათზე იწყება. ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ, დაკავებული ადგილის მიხედვით, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები 17 ივნისს – ნახევარფინალურ, ხოლო 22 ივნისს ფინალურ შეხვედრას გამართავს.

უმცროსი ბორჯღალოსნები დასკვნით შეკრებაზე 2 კვირის წინ შევიდნენ და მწვრთნელები უმთავრესად სათამაშო ტაქტიკისა და ელემენტების დახვეწაზე მუშაობენ. ჯერჯერობით, შეკრებაზე არ არიან ფრანგულ კლუბებში მოთამაშე ლეგიონერები – გიორგი ახალაძე (მასი), გია ხარაიშვილი (რასინგ 92), ზაურ თევდორაშვილი (ანგულემი), ლუკა ჭელიძე (ტულონი), ლუკა აზარიაშვილი (მონპელიე), ვანო კარკაძე (ორიაკი). ისინი უმცროს ბორჯღალოსნებს 20 მაისიდან შეუერთდებიან.

მწვრთნელების გადაწყვეტილებით, ნაკრებმა ქომაგებისა და ჟურნალისტებისთვის ღია ვარჯიში გამართა, რომელმაც საათზე მეტხანს გასტანა, რის შემდეგაც მწვრთნელმა ლადო კილასონიამ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა:

ლადო კილასონია:

– რთული ჯგუფი შეგვხვდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე იოლი ჯგუფები არ არსებობს. ახალი ზელანდიის შემდეგ, სამხრეთ აფრიკას და შოტლანდიას ვეთამაშებით. პირველის ძალა ცოტა ხნის წინ სამხრეთაფრიკულ ტურნეზე გამოვცადეთ, მეორეს კი შარშანდელი მარცხისთვის რევანში სწყურია. ჩვენი მოსამზადებელი შეკრება დასასრულს უახლოვდება. ფიზიკური მომზადების დიდი ციკლი დაფარულია, ასევე შევსებულია ბურთით ვარჯიშის არეალები.

ველოდებით ლეგიონერებს საფრანგეთიდან და შევეცდებით სისტემების დახვეწას, რომლებითაც გვინდა შევუტიოთ და თავი დავიცვათ. ამ გუნდს აქვს დიდი პოტენციალი, მთავარია სწორად გამოვიყენოთ ჩვენი პლუსები და, თუ ეს მოვახერხეთ, ძალიან კარგ ტურნირს ჩავატარებთ.

გუნდის კაპიტანი **თედო აბჟანდაძე** ფიქრობს, რომ სამხრეთაფრიკულ ტურნეზე შეძენილი გამოცდილება ნაკრებს არგენტინაში წაადგება:

– შარშან სამხრეთაფრიკული ტურნე გუნდს ძალიან მაგრად წაადგა და 20-წლამდელთა ჩემპიონატზე 3 მატჩი მოვიგეთ. დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე იქნება. გუნდში მრავლად არიან ისეთი მორაგბეები, რომელთაც ამ დონის თამაშების გამოცდილება არ ჰქონდათ და ახლა მათ ზუსტად იციან რას უნდა ველოდოთ მსოფლიოს ჩემპიონატზე. პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. ჩვენი უმთავრესი მიზანი ამ ტურნირში ადგილის შენარჩუნებაა და ამისთვის მაქსიმუმს გავიღებთ, პარალელურად კი, შარშანდელი შედეგის გაუმჯობესებას ვეცდებით.

სალდეისოდ შეკრებაზე არიან:

შერკინება:

გეგი მურუსიძე, საბა კურატაშვილი, დავით გვიდიანი, იოანე იაშაღაშვილი (ყველა არმაზი), ლუკა ნიორაძე, ვახტანგ ჯინჭარაძე, მიხეილ ჩაჩავა (ყველა ჯიქი), გიორგი მენაბდე (ბათუმი), ვლადიმერ ჩაჩანიძე, კობა კოლოტაური, ბექა ყორიაული, საბა ჯღარკავა (ყველა ლელო), ლუკა გელაშვილი (არმია), ტატო გვიმრაძე (ხვამლი), პაატა ბურჭულაძე (რუსთავი), გიორგი ნოდია, იოსებ გუშარაშვილი (ორივე ყოჩები);

ხაზი

მიხეილ ალანია, ლუკა მანტკავა, გივი ცინცაძე, კოტე მარჯანიშვილი (არმაზი), გიორგი მარგალიტაძე, დემურ თაფლაძე, ოთარ ლაშხი (ლელო), ფრიდონ წიკლაური, ზაურ ლუტიძე (ხვამლი), იაგო ხაბულიანი, თედო აბჟანდაძე, ლაშა ლომიძე, ირაკლი სიმსივე, თემურ კოხოძე, დავით გობეჯიშვილი (აია), რევაზ ხარაზიშვილი (იუნკერები), სანდრო მარგიანი, გიორგი მიქანაძე (აკადემია), ზურა ქავთარაძე (ხარები), თეიმურაზ ჭიჭინაძე (ჯიქი), დაჩი პაპუნაშვილი (არმია).

არგენტინამ კოპა ამერიკისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

სამხრეთ ამერიკის მთავარი საფეხბურთო ტურნირი, კოპა ამერიკა, 14 ივნისიდან 7 ივლისის ჩათვლით ბრაზილიაში გაიმართება.

ბოლო წლების უცვლელი ფავორიტის, მაგრამ ამ პერიოდში ტიტულმოუგებელი არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლიონელ სკალონიმ გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

32-კაციან სიაში ერთად ლიონელ მესი, სერხიო აგუერო, პაულო დიბალა და მაურო იკარდი მოხვდნენ. ეს ოთხეული ერთდროულად ნაკრების შეკრებაზე გამოძახებული არ ყოფილა.

სრული განაცხადი კი ასე გამოიყურება:

მეკარეები: ფრანკო არმანი (რივერ პლეიტი), ხორონიმო რული (სოსიედადი), ხუან მუსო (უდინეზე, იტალია) ესტებან ანდრადა (ბოკა ხუნიორსი), აგუსტინ მარკესინი (ამერიკა);

მცველები: გაბრიელ მერკადო (სევილია, ესპანეთი), ნიკოლას ოტამენდი (სიტი, ინგლისი), რენცო სარავია (რასინგ აველიანედა), ხერმან პეცელია (ფიორენტინა, იტალია), ნიკოლას ტალიაფიკო (აიაქსი, ჰოლანდია), ხუან ფოიტი (ტოტენჰემი, ინგლისი), ვალტერ კანემანი (გრემიო, ბრაზილია), მარკუს აკუნია (სპორტინგი, პორტუგალია), რამირო ფუნეს მორი (ვილიარეალი, ესპანეთი);

ნახევარმცველები: ჯოვანი ლო სელსო (ბეტისი, ესპანეთი), ლეანდრო პარედესი, ანხელ დი მარია (ორივე პსჟ, საფრანგეთი), როდრიგო დე პაული (უდინეზე, იტალია), რობერტო პერეირა (უოტფორდი, ინგლისი), მაქსიმილიანო მესა (მონტერეი, ურუგვაი), ივან მარკონე (ბოკა ხუნიორსი), გონსალო მარტინესი (ატლანტა იუნაიტედი, აშშ), ფედერიკო სარაჩო (რასინგი), ესეკიელ პალასიოსი (რივერ პლეიტი), გვიდო როდრიგესი (ამერიკა);

თავდამსხმელები: პაულო დიბალა (იუვენტუსი, იტალია), სერხიო აგუერო (სიტი, ინგლისი), მაურო იკარდი, ლაუტარო მარტინესი (ორივე ინტერი, იტალია), ანხელ კორეა (ატლეტიკო, ესპანეთი), მატიას სუარესი (რივერ პლეიტი), ლიონელ მესი (ბარსელონა, ესპანეთი).

ამ სიიდან 9 ფეხბურთელი ამოვარდება და საბოლოო 23-კაციანი შემადგენლობა რამდენიმე კვირაში გახდება ცნობილი.

არგენტინის ნაკრები კოპა ამერიკის ჯგუფში კოლუმბიასთან, პარაგვაისთან და ყატართან ერთად მოხვდა.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ლიდერების მარცხი

დინამო (თბ)-ლოკომოტივი 1:3

თბილისი. დინამო არენა

0:1 სამურკასოვი (24), 1:1 ნინუა (54), 1:2 ინჯგია (78), 1:3 სიხარულიძე (90)

დინამო: სიკაჩი (პერალესი 26), რუხაია, მონხილი, კობოური, აზაროვი, იაშვილი (როხანო 80), კუხიანიძე (ქარდავა 46), შულაია, პაპავა, ნინუა, კუტალია

ლოკომოტივი: ბულისკერია, გურეშიძე, ნ.ჭანტურია, კომახიძე, უბილავა, სამურკასოვი (გვალია 90), შონია, ო.კობახიძე (ინჯგია 66), ძებნიაური, თ.კირკიტაძე (ჯიქია 86), სიხარულიძე

თბილისის დინამო მოულოდნელად აუტსაიდერ ლოკომოტივთან დამარცხდა. დედაქალაქური დერბი ლევან კორღალიძის შეგირდებმა დამაჯერებლად, 3:1 მოიგეს.

ლოკომოტივის ფეხბურთელებმა თამაში პირველივე წუთებიდანვე აქტიურად დაიწყეს და მეტოქეს მაღალი პრესინგი შესთავაზეს. ანგარიში სტუმრებმა სამურკასოვის გოლით გახსნეს. შეტევის მომენტში დინამოელთა მეკარე სტეფან სიკაჩმა ტრავმა მიიღო და მოედანზე დაეცა, რითაც სამურკასოვმა ისარგებლა და ცარიელ კარში ბურთი მარტივად მოათავსა.

მასპინძლებმა ანგარიში შეხვედრის მეორე ნახევარში გაათანაბრეს. ნიკა ნინუამ ჯარიმიდან დაარტყა და ბულისკერიას შანსი არ დაუტოვა. გატანილი გოლის შემდეგ დინამო გააქტიურდა, მაგრამ მეორე ბურთის გასატანად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

მატჩის 77-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა რევაზ ინჯგიამ ლოკომოტივი წინ გაიყვანა, ხოლო 90-ე წუთზე თამაშში საბოლოო წერტილი ირაკლი სიხარულიძემ საბოლოო ანგარიში დაიფიქსირა.

თბილისის დინამომ კონკურენტების ქულების დაკარგვით ვერ ისარგებლა.

ღილა-დინამო (ბთ) 1:0

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 კოუგბენია (76)

ღილა: გუგეშაშვილი, გიორბელიძე, ჩადუნელი, კერელეიშვილი, ე.სან-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

კაილი ჯენერის მიერ გამოშვებული პროდუქცია ჯანმრთელობისთვის საშიში გამოდგა

სახის საცხი, რომელსაც ტელევარსკვლავ კაილი ჯენერის პირადი კოსმეტიკური ბრენდი უშვებს, ჯანმრთელობისთვის სახიფათო გამოდგა.

სარეკლამო რგოლში ჯენერი რეკომენდაციას იძლევა, რომ საცხი, „ნაზი, მაგრამ ძალიან ეფექტური“, კვირაში სამჯერ გამოიყენონ, ვინაიდან, მისი თქმით, ის კანიდან მკვდარ უჯრედებს აშორებს. თუმცა დერმატოლოგებმა ჯენერის ბრენდის თაყვანისმცემლები გააფრთხილეს, რომ საცხის შემადგენლობაში შედის ნიგოზი, რომელმაც შესაძლოა სახის კანს სერიოზული ზიანი მოუტანოს. მათი თქმით, კაკლის ნაჭუჭის უხეში ნაწილაკები კანის ზედაპირზე მიკრონაპრალებს აჩენს და ამით ბაქტერიებს კანი სიღრმეში შეღწევის საშუალებას აძლევს.

– კაკლის ნაჭუჭის ფხვნილი ცნობილია, როგორც გამონაყარის საწინააღმდეგო ძლიერი საშუალება. მართალია, ის კანიდან მკვდარი ქსოვილების მოცილების კარგ საშუალებას წარმოადგენს, თუმცა მის უხეშ ნაწილაკებს კანის დაზიანება შეუძლია, – განაცხადა კანის მოვლის ბრიტანელმა ექსპერტმა როს პერიმ.

კაილი ჯენერი ამ ინგრედიენტის გამოყენებისთვის მისმა მრავალმა თაყვანისმცემელმაც გააკრიტიკა. თავად ტელევარსკვლავს კი ამ პრეტენზიებზე რეაგირება ჯერ-ჯერობით არ მოუხდენია.

პამელა ანდერსონი Vogue-ს გარეკანზე პირველად გამოჩნდა

კანადელ-ამერიკელმა მსახიობმა და ფოტომოდელმა პამელა ანდერსონმა გადაიღო ფოტოსურათები მოდური ჟურნალის Vogue-ს გარეკანისთვის. მისი ფოტოსესიის კადრები ინსტაგრამში გამოცემის გვერდზე გამოქვეყნდა.

პლეიბოის 51 წლის მოდელმა გამოცემის ივნისის ნომრისთვის გადაიღო ფოტოსურათები. სოციალურ ქსელში გამოცემის მომავალი ყდის სამი ვარიანტი გამოქვეყნდა წარწერით: „ვის უნდა პამელა ანდერსონის მოკვლა?“

ერთ-ერთ ფოტოზე ანდერსონი აუზში, ყვავილებიან პერანგში გამოწყობილი, ზღვის ფონზე პოზირებს, მეორეში ის კამერისკენ გვერდულად დგას შავ ბლუზაში გამოწყობილი, მასიური ყელსაბამით, მესამე ფოტოზე კი კლდეზე ღია წითელი ფერის წვეტიანცხვირიან ფეხსაცმელებში მიძვრება.

ფოტოსურათების ავტორია გერმანელი ფოტოგრაფი დენ ბელიუ.



მამაკაცმა 116 ლურსმანი გადაყლაპა და გადარჩა

ინდოეთის რაჯასტრანის შტატის ქალაქ ბუნდიში ექიმებმა ადგილობრივი მცხოვრების საკვების მომნელებელი ორგანოებიდან ასზე მეტი ლურსმანი ამოიღეს.



43 წლის მამაკაცი, ბლოხი შანკარა, საავადმყოფოში მუცლის არეში ტკივილების ჩივილით მიიყვანეს. რენტგენმა აჩვენა, რომ მის კუჭსა და ნაწლავებში დიდი რაოდენობით უცხო სხეულები იყო.

მამაკაცი მაშინვე საოპერაციოში გადაიყვანეს. ოპერაციის დროს ექიმებმა მისი შინაგანი ორგანოებიდან 116 ცალი ხუთსანტიმეტრიანი ლურსმანი, ლითონის ნაჭრები და მავთულები ამოიღეს. შანკარმა ვერ ახსნა, თუ როგორ მოხვდა მის ორგანიზმში ეს საგნები.

ამჟამად მამაკაცი სტაბილურ მდგომარეობაშია და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. ექიმ ანილ საინის თქმით, რომელმაც ოპერაცია ჩაატარა, მამაკაცს გაუმართლა, რომ ლურსმნებმა მისი ორგანოები არ დააზიანა, ვინაიდან ამ შემთხვევაში შესაძლოა მისი გადარჩენა შეუძლებელი გამხდარიყო.

მამაკაცის უმცროსმა ძმამ კი განაცხადა, რომ ბოლო ორწელიწადნახევარია, ის ფსიქიკური აშლილობის საწინააღმდეგო წამლებს იღებს. ექიმები ეჭვობენ, რომ შანკარა შიზოფრენიით არის დაავადებული.

ლიდერების მარცხი

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ტოსი, რაზმაძე, კოუგბენია, ფორტესი, კუცია (გაგნიძე 90), ნონიკაშვილი (პაიმი 77), გოშთელიანი (მირცხულავა 84)

დინამო: ალავიძე, ადამაძე, მელიავა, გაგოშიძე, ჩალაძე, ტეიდი (თევდორაძე 75), მამუჩაშვილი, ჯანელიძე (ცაცკრიალაშვილი 86), რამოსი (გაფრინდაშვილი 71), რ.ჭანტურია, ფლამარიონი

ტურის შეხვედრა წააგო გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა, ბათუმის დინამომ. გია გეგუჩაძის გუნდი სტუმრად გორის დილას დაუპირისპირდა და მინიმალური ანგარიშით 0:1 დაამარცხა.

შეხვედრაში ერთადერთი გოლი 76-ე წუთზე დიდიე კოუგბენიამ გაიტანა.

ჩიხურა-ხუსთავი 0:0

<u>თბილისი. მიხეილ მესხი 2</u>
<u>ჩიხურა: ჰამზიჩი, მაისაშვილი, მამასახლისი, კაშია, კორიფაძე, ჩიხლაძე, ჩიტეიშვილი, ერგემლიძე, სარდალიშვილი, მარკოზაშვილი, მახარობლიძე</u>

რუსთავი: მამარდაშვილი, გუჯაბიძე, ლ.გადრანი, ც.კაპანაძე, ფონიავა, გასტაროვი, ქოჩლაძე, ციცქიშვილი (კიტეიშვილი 65), სილაგაძე, ჩოგაძე (ყიფიანი 56), იმნაძე (ჯაფიაშვილი 90)

გატანილი გოლის გარეშე დასრულდა ეროვნული ლიგის დაპირისპირება, რომელიც საჩხერის ჩიხურასა და რუსთავს შორის გაიმართა. მიუხედავად რამდენიმე საგოლე მომენტის არსებობისა ორივე გუნდის კართან, გოლის გატანა ვერც ერთმა ვერ შეძლო და ქულები გაიყვეს.

სატუნინო ცხრილი:

1.საბურთალო	13	9	0	4	28-21	27
2.დინამო (ბთ)	13	8	1	4	20-14	25
3.ტორპედო	13	7	2	4	20-16	23
4.დინამო (თბ)	13	6	2	5	25-16	20
5.სიონი	13	6	2	5	18-25	20
6.ჩიხურა	13	4	7	2	15-11	19
7.დილა	13	5	2	6	12-12	17
8.ლოკომოტივი	13	4	0	9	16-22	12
9.ვიტ ჯორჯია	13	3	2	8	7-14	11
10.რუსთავი	13	2	4	7	12-22	10

მთვრალი რუსი მგზავრი ქალი თვითმფრინავიდან ჩამოსვეს

კვიპროსიდან მიმავალი თვითმფრინავის სალონიდან მთვრალი რუსი ტურისტი ქალი მგზავრების აპლოდისმენტების თანხლებით გამოაძევეს.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც თვითმფრინავი ლარნაკას აეროპორტიდან სანკტ-პეტერბურგში უნდა გაფრენილიყო. ვიდეოზე, რომელიც ერთ-ერთმა თვითმხილველმა გადაიღო, პოლიციის თანამშრომლები გოგონას სავარძლიდან აყენებენ, შემდეგ კი ლაინერიდან გაჰყავთ.

– მე ხომ არაფერი დამიშავებია! – ყვირის გოგონა, როდესაც ის თვითმფრინავის გასასვლელისკენ მიჰყავთ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსი ტურისტი გოგონა თვითმფრინავის სალონში ხმამაღლა იგინებოდა და არაფრად აგდებდა ეკიპაჟის წევრების შენიშვნებს. შედეგად საჰაერო ხომალდის მეთაურმა მისი რეისიდან მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. რუსი ტურისტის არაადეკვატური საქციელის გამო თვითმფრინავის გაფრენა ერთი საათით გადაიდო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

17 მაისისთვის

ვერძი – პრობლემების დაძლევაში დაბრკოლებები შეგხვდებათ, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურები უნდა ჩამოყაროთ. სამაგიეროდ, სიყვარულში გიმართლებთ. **კურო** – ემოციები მოთოკეთ, ნერვებს ნუ აჰყვებით. ახალი საქმის დაწყება დღეს არ ღირს. ნურაფერს დაგეგმავთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მამაკაცმა ტყუპებმა ზედმეტი ინიციატივის გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ. ქალებს ვარსკვლავები სტუმრად წასვლას ურჩევენ. **კირჩხიბი** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. ახალი ნაცნობისგან სიურპრიზს ელოდეთ. ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ლომი** – დამშვიდდით, ყველაფერი კარგად აწონდაწონეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. არასაჭირო კონტაქტებისგან დღეს თავი შეიკავეთ. **ქალწული** – დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლე გელით. გრძნობებს აჰყევით და ისე იმოქმედეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. შესაძლოა, წვრილმან საოჯახო პრობლემებს შეეჯახოთ ან ფინანსურ სიძნელეებს გადააწყდეთ. საყიდლებზე წასვლა ან სხვა კომერციული ოპერაციები სხვა დროისათვის გადადეთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ მშვიდ გარემოში. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. განმარტოება დიდ სულიერ სიმშვიდეს მოგგვრით. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა. თამამად იყავით, ყველაფერი თქვენ სასარგებლოდ მოქმედებს, თუმცა, ზომიერების დაცვაც არ გაწყენთ. **თხის რქა** – დაწყებული საქმის დამთავრებას სამომავლოდ ნუ გადადებთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი ბრწყინვალედ გაქვთ. **მერწყული** – საკმაოდ გაგიძლიერდებათ აურა, შინაგანი პოტენციალი. პირადი მომხიბვლელობის წყალობით წარმატებას იოლად მიაღწევთ. **თევზები** – დღეს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გაკვეთილი მიიღოთ. მიწაზე დაეშვით და მოვლენები რეალურად შეაფასეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 2. სრული მარცხი, ფიასკო; 3. რომელიმე ადგილის გეოგრაფიული სახელწოდება; 4. მხარე ავსტრიაში; 5. ვენეციური ნავი; 6. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 13. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 14. ვაზის მავნებელი მწერი; 15. წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მონაწილე მხარეების ვალდებულებებს; 17. მთიულგუდამაყრელთა მთავარი სალოცავი ძველად; 18. ლიტერატურული თამაში, წინასწარ მოცემული რითმებით იუმორისტული ლექსების შეთხზვა; 19. მუსიკალური ნაწარმოების ბოლო, დამამთავრებელი ნაწილი.

თარაზულად: 7. სახლის სახურავად გამოყენებული თხელი ნაპობი ფიცარი ძველად; 8. მრავალი ფერის გამოყენება არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 9. სატუსაღო ძველ თბილისში; 10. საკონდიტრო ნაწარმი; 12. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსაკვლევად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 14. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 16. მარკ ტვენის ნამდვილი გვარი; 18. ტბა უნგრეთში; 20. ძველებური სანათი მოწყობილობა; 21. სამჭედლო იარაღი; 22. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, მოშვება; 23. მტკნარი წყლის დიდი ზომის თევზი; 24. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მარტელი; 2. დეფიციტი; 3. იამოტო; 4. კილტი; 5. ჩეფერინი; 8. მაიოლიკა; 12. მუხა; 13. დიაგრამა; 14. ოკენცე; 16. მელიავა; 18. მარკა; 20. ტახო.

თარაზულად: 6. ჯაფარიძე; 7. ახალციხე; 8. მორიტა; 9. ტესლა; 10. დიაგნოზი; 11. პლომბირი; 15. პინაკოთეკა; 17. საირმე; 19. ცურტაველი; 21. კაიზერი; 22. ჩატურანგა; 22. ჰოოპუნა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ტემპერა; 2. ურეკი; 3. პურიტანი; 4. იდიოტი; 5. პლანერი; 6. შავთელი; 11. ფრეზა; 13. ასტურია; 14. იონოსფერო; 15. დეპორტივო; 17. ამპერი; 18. პარანა; 19. ნეტო.

თარაზულად: 7. ცეზურა; 8. ბუნდესლიგა; 9. ოპტიკა; 10. ნიკოტინი; 12. კატამარანი; 14. ისინდი; 16. შარტრეზი; 18. პენელოპა; 20. პრესა; 21. ერა; 22. ბერიკები; 23. ალია; 24. ჩოხატაური.

ტარიელ ხარხელაური ქუთაისის საპატიო მოქალაქეა

პოეტი ტარიელ ხარხელაური ქუთაისის საპატიო მოქალაქედ დაასახელეს.

პოეტისთვის ამ საპატიო ჯილდოს გადაცემა ქუთაისში გაიმართა.

არაერთი ცნობილი ლექსის ავტორს მთელ საქართველოში ათასობით ერთგული მკითხველი და გულშემატკივარი ჰყავს, ამიტომაც მისი კიდევ ერთი აღიარება მათ განსაკუთრებულად გაუხარდათ.

გოჩა კაპანაძე რუსთაველის თეატრში ახალ სპექტაკლს დგამს

ცხინვალის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი გოჩა კაპანაძე რუსთაველის თეატრში ახალ სპექტაკლზე მუშაობს.

„უკანასკნელი დედოფალი“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც რეჟისორმა თამარ და აკაკი პაპავების ნაწარმოების მიხედვით განახორციელა.

გოჩა კაპანაძის სპექტაკლში სულ ქალი მსახიობები მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანუკა ხუსკივაძე, ნანა ფაჩუაშვილი, ნინო არსენიშვილი, ანა ამილახვარი, მარინა კახიანი, მანანა გამცემლიძე, ეკა მინდიაშვილი, ნატალია ყულოშვილი, მარიკა ჭიჭინაძე, დარეჯან ხარშილაძე.

„უკანასკნელი დედოფალი“ რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე 17 მაისს გათამაშდება.

თბილისი ლიტერატურულ ფესტივალს უმასპინძლებს

თბილისი საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალს მეხუთედ უმასპინძლებს. ფესტივალი 17 მაისს დაიწყება და 21 მაისს დასრულდება.

საქართველოს დედაქალაქში ჩამოვა 19 ავტორი 15 ქვეყნიდან. მონაწილეთა შორის იქნებიან ცნობილი პოეტები, დრამატურგები და პროზაიკოსები ამერიკიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, მაკედონიიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან...

წელს ფესტივალის ღონისძიებები ერთი თემის, „გაორების“ ქვეშ გაერთიანდება. პროგრამა მოიცავს პოეზიის საღამოებს, საჯარო ლექციებს, წიგნის პრეზენტაციებსა და პანელ-დისკუსიებს.

თბილისის მეხუთე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის ფარგლებში შეხვედრები გაიმართება მწერალთა სახლში და მათზე დასწრება, ტრადიციულად, უფასოა.

სამგლოვიარო განცხადებები

ფანასკერტელ-ციციშვილის მე-19 კორპუსის მცხოვრებლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინო მახარობლიშვილი-მუმლაძისა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბორის ჭელიძის გახსენება

გავიდა 40 დღე საქართველოს რკინიგზის „შრომის ვეტერანისა“ და „საპატიო რკინიგზელის“ ბორის ჭელიძის გარდაცვალებიდან.

წლების განმავლობაში ის მუშაობდა ამერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო მეურნეობის სამსახურის მიწის ვაკისისა და საკვლევ-საპროექტო განყოფილების ინჟინრად, წყალმომარაგების ჰიდროგეოლოგიის ინჟინრად.

ბორის ჭელიძე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, საქმისადმი დიდი სიყვარულით, თანამშრომლებისა და მეგობრების მიმართ გულისხმიერებითა და პატივისცემით.

ბორის ჭელიძის ხსოვნა დაუვიწყარია თანამშრომელთა, მეგობართა და ახლობელთა შორის.

საქართველოს რკინიგზელ ვეტერანთა ასოციაცია

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ოთო ნემსაძე ებრაული ცეკვისთვის გააკრიტიკეს

მომღერალმა ოთო ნემსაძემ „ევროვიზია 2019“-სთვის ებრაული ცეკვა შეასრულა და საზოგადოების კრიტიკაც დაიმსახურა.

კრიტიკოსთა ერთიანი აზრი ბაკურ სვანიძემ ჩამოაყალიბა:

– ეს დანაშაულია! ამაზე ვინმემ პასუხი უნდა აგოს! ამიხსენით, საქართველოს ასეთი წარდგენა რომელი ავადმყოფის რეგვენმა „ბაშკამ“ მოხარშა? რა არის ეს? კაი, კარგად იმღერა, ცუდად თუ თვითონ სიმღერა არ ვარგოდა თუ რაც იყო და როგორც... ჯანდაბას! მაგრამ, აი, ამ დანაშაულებრივი სიდებილისთვის არ უნდა მოეთხოვოს პასუხი ვინმეს? ევროპის წინაშე წარადგენ საქართველოს! და აქცენტი ცისფერ მეჩეთზე და ცისფერებში ჩაცმულ ოთხ არაქართული გარეგნობის, არაბულ-ებრაულ-სპარსულ-ოსმალური შესახედაობის ბიჭზე. ხელში ებრაული „მაცა“ რატომ? რა არის ეს? ქართველებს ცეკვა გვიჭირს ჩვენი თუ კერძები? რაის მავთულხლართი და რისი რუსეთი, ესენი რომ უკეთებენ ამ ქვეყანას ცუდ საქმეს, ისეთს რუსეთი ვერაფერს დაგვიშავებს ვერასოდეს! მიპასუხეთ ვინმემ, რის თქმა სურდათ ამით ამის გამკეთებლებს? ვინ გააკეთა ეს? ანუ მავთულხლართები გაგვიბა ცუდმა რუსეთმა და ჩვენი ისტორიული ძმა და მეგობარი ირანთურქეთი ჩვენ გვერდით არიანო? და უფრო ახლოს არიან ქართულ კულტურასთანო? თუ რას ნიშნავს ეს ყოველივე? სერიოზულად ვამბობ, თურქული დიდი მაყუთები იგრძნობა აქ და ვიღაცა ამის გამო უნდა დაისაჯოს!

საზოგადოებაში გამოწვეულ აჟიოტაჟს „ევროვიზიის“ ოფიციალურმა გვერდმა სპეციალური განცხადებით უპასუხა:

– ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, 2019 წლის კონკურსის სლოგანია „გაბედე ოცნება“, ხოლო საიმიჯო ვიდეორგოლების – „გაბედე ცეკვა“. მასპინძელი ტელეკომპანია „კანის“ გადაწყვეტილებით, პოსტქარდების თემად ცეკვა და გადასაღებ მოედნად ისრაელის 41 სხვადასხვა ადგილი შეირჩა. ქართველი კონკურსანტის, ოთო ნემსაძის საიმიჯო ვიდეორგოლი გადაღებულია ისრაელში, ქალაქ აკოში. პოსტქარდების თემატიკას, ჩაწერის ადგილსა და გადაღების პროცესს ორგანიზებას ევროპის მაუწყებელთა კავშირი და კონკურსის მასპინძელი ტელეკომპანია უწევს.

კინოთეატრი „რუსთაველი“ 80 წლის იუბილეზე აღარ არსებობს

კინოთეატრი „რუსთაველი“ წელს იუბილარია. იუბილეს აღნიშვნის სანაცვლოდ კი იგი აღარ არსებობს.

დავით მესხიშვილი:

– „რუსთაველის“ კინოთეატრი 80 წლისაა. 1939 წელს აშენდა და მიხეილ ჭიაურელის ფილმ „დიადი განთიადით“ გაიხსნა. შენობას 1988 წელს ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

წესით, ახლა კინოთეატრის 80 წლის იუბილეს უნდა აღვნიშნავდეთ საზეიმო ვითარებაში, მაგრამ ის, უბრალოდ, აღარ არსებობს, მერამდენე თვეა, დაკეტილია, სამარისებური სიჩუმეა, ჩაბნელებულია, შენობა დაზიანებულია, საათი – გაჩერებული... ამ ფაქტზე არც ხალხი დარდობს დიდად და არც შესაბამისი სამსახურები.

რუსკა მაყაშვილი „მასტერშეფის“ წამყვანია

მსახიობი რუსკა მაყაშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი გადაცემის, „მასტერშეფის“ წამყვანია.

კულინარიული გადაცემა ეთერში 18 მაისიდან ყოველ პარასკევს გავა. პროექტში მონაწილე სხვადასხვა პროფესიის ადამიანები საუკეთესო კერძის მომზადებაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

კონკურსანტების კერძებს კი სამკაციანი ჟიური შეაფასებს შეფების ლევან კობიაშვილის, ლუკა ნაჭყებიასა და კონსტანტინე თედელურის შემადგენლობით.

ლაშა მარგიანი ესპანეთში მიიწვიეს

პოეტი ლაშა მარგიანი ესპანეთში მიიწვიეს. მისმა პოემა „გარდელამ“ კატალონიაში გამართულ ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვა.

ლაშა მარგიანი:

– ესპანეთში, კერძოდ კატალონიაში, პრესტიჟულ ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვა ჩემმა პოემა „გარდელამ“.

ჟირონადან, იქაური გამომცემლობიდან დამიკავშირდნენ ახლა და თანამშრომლობა შემომთავაზეს, ასევე – ჩემი ლექსების ესპანურად თარგმნა და წიგნის დაბეჭდვა.

ბუნებრივია, სიხარულით დავთანხმდი და ერთი წლით გემშვიდობებით. მომენატრებით, მაგრამ თან ძალიან გახარებული ვარ.

ასეთი ამბავია ჩემს თავს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დამლაგებლებმა კლიენტების უცნაურობებზე ისაუბრეს

სერვისმა, რომელიც სპეციალისტების მოძიებითაა დაკავებული, საკუთარ ვებგვერდზე იმ ყველაზე უცნაური ნივთების სია გამოაქვეყნა, რომლებსაც დამლაგებლები კლიენტების სახლებში პოულობენ.

გამოკითხვაში ორი ათასზე მეტმა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. პირველ ადგილზე ფერფლით სავსე მუყაოს კოლოფი გავიდა. მას მოჰყვება ვუდუს თოჯინების კოლექცია ქინძისთავებით. მესამე ადგილზეა ქათმის ძვლები, რომლებსაც ზევიდან ჟურნალები აქვს გადაფარებული. სიაში მეოთხეა ქალის ფრჩხილებით სავსე სამკაულებისთვის განკუთვნილი ზარდახშა. პირველ ხუთეულს კი ასრულებს მეტრნახევრიანი პენისი ფორმის ქანდაკება.

მათ გარდა, პირველ ათეულში მოხვდა თოჯინების სახლი-ბორდელი, სპილოს ფეხი, მკვდარი ჭუპრებით სავსე ქილა, ფერმას მიმსგავსებული სასტუმრო ოთახი ნამდვილი ბალახითა და სარწყავით და ასევე 25-სანტიმეტრიანი ხის დილდო.

რესპონდენტების თქმით, ისინი უნებურად უხერხული სიტუაციის მხილველები ხდებოდნენ. მაგალითად, ერთ-ერთმა დამლაგებელმა გაიხსენა, რომ მინის კარს მიღმა სრულიად შიშველი კლიენტი დაინახა, რომელიც ოთახში წინ და უკან დარბოდა. ასევე, ზოგიერთის მტკიცებით, ისეთ შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი, როდესაც კლიენტის სახლში დალაგების დროს სახლის პატრონი სექსით იყო დაკავებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

17 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.7425

ევრო — 3.0711

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5406

100 რუსული რუბლი — 4.2348

ამინდის პროგნოზი 17 მაისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

14 მაისიდან

ქართული მითები



ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– ასე მოწყენილი რატომ ხარ? იმიტომ, რომ მსუქანი ხარ თუ რამე მოხდა?

•••

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– შენ გქონდა ექვსი ვაშლი. ნახევარი შენს ძმას მიეცი. შენ რამდენი ვაშლი დაგრჩებოდა?

– ხუთ-ნახევარი.

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:

– სხვა ქალთან სექსი პრეზერვატივით ღალატი ხომ არ იქნება?

– აბა რა! და არც მაყუჩიანი პისტოლეტით სიკვდილია მკვლელობა...

•••

ფსიქიატრიულში პაციენტები ტელევიზორს უყურებენ. უცბად ერთ-ერთი ამბობს:

– კიდევ კარგი, რომ ფსიქიატრიულში ვარ!

ამ დროს ერთმა ექიმმა მეორეს გადაულაპარაკა:

– ჰოო! როგორც ჩანს, ეს უკვე გამოჯანმრთელდა და დროა, გაეწეროს...

•••

ბავშვი აფთიაქში გამყიდველს ეკითხება:

– რაიმე საიმედო ტკივილგამაყუჩებელი საშუალება გაქვთ?

– შვილო, რა გტკივა?

– ჯერჯერობით არაფერი, მაგრამ მამა მშობელთა კრებაზეა და...

•••

მზარეული ოფიციანტს ეუბნება:

– კლიენტების გაგდებას შეეშვი, ნუ გავიწყდება, რომ ვაგონ-რესტორანში მუშაობ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი ქვილითაია გენტიდან წასვლას არ გამორიცხავს

საქართველოს ნაკრებისა და გენტის ფორვარდი გიორგი ქვილითაია, თუ უკეთესი ვარიანტი გამოუჩნდება, გენტიდან წასვლას არ გამორიცხავს.

ქვილითაიას თქმით, ის გენტში ბედნიერია, მაგრამ ცვლილებები ყოველთვის საჭიროა:

– წინა წელი ჩემთვის რთული იყო, რადგან ტრავმის გამო ბევრი დრო გამიცდა და ოპტიმალური ფორმა ვერ აღვიდგინე. გენტში ბედნიერი ვარ, მაგრამ, თუ უკეთესი ვარიანტი გამოჩნდა, წასვლას არ გამოვრიცხავ. ამჟამად მხოლოდ სეზონის დარჩენილ შეხვედრებზე ვფიქრობ.

პსჟ-მ ბუფონს ახალი კონტრაქტი შესთავაზა

პსჟ-ს სურს, რომ ჯანლუიჯი ბუფონი კიდევ ერთი სეზონით დარჩეს ამ გუნდში და იტალიელ მეკარეს მათ ახალი ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს.

ბუფონს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება, გააგრძელებს თუ არა კარიერას.

– ძალიან მიხარია, რომ პსჟ-მ ახალი კონტრაქტი შემომთავაზა და ეს ჩემთვის დიდი პატივია. უახლოეს დღეებში დაველაპარაკები გუნდის ხელმძღვანელობას და ჩემს მომავალს განვიხილავთ. ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია, – განაცხადა ბუფონმა.

ბუფონი პსჟ-ში შარშან გადავიდა და ის გუნდის ძირითად მეკარედ ითვლება.

დე იონგი: „მოუთმენლად ველი მესისთან ერთად თამაშს“

ბარსელონის ჰოლანდიელმა ახალწვეულმა ფრენკი დე იონგმა თავის მომავალსა და ბარსელონაზე ისაუბრა.

დე იონგის თქმით, ის მოუთმენლად ელის მესისთან შეხვედრას და აინტერესებს, თუ როგორ ითამაშებს ასეთ მაღალ დონეზე:

– ბედნიერი ვარ, რომ ბარსელონის ფეხბურთელი გავხდი და ამ გუნდში თამაში, პირველ რიგში, უდიდესი პასუხისმგებლობაა. დიდი ინტერესით ველი იმ მომენტს, როდესაც მესისთან ერთად მოედანზე გავალ და, იმედი მაქვს, ღირსეულად ვითამაშებ.

ატლეტიკომ პაულო დიბალას დაადგა თვალი

მადრიდის ატლეტიკო ანტუან გრიზმანის შემცვლელს ეძებს, რომელიც ზაფხულში გუნდს დატოვებს. ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატურა იუვენტუსის არგენტინელი ფეხბურთელი პაულო დიბალაა, რომელსაც იუვენტუსის მწვრთნელთან დაძაბული ურთიერთობა აქვს.

ამის გამო დიბალა იუვედან წასვლას არ გამორიცხავს და ატლეტიკო მისთვის კარგი ვარიანტი იქნება.

ატლეტიკო მზად არის, დიბალას ტრანსფერში 80 მილიონი გადაიხადოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ჩეჩნეთის ისტორიული სახელწოდება; 2. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 3. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 4. მხარე ავსტრიაში; 5. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა; 7. დიპლომატიური წარმომადგენელი; 11. ვირის ნაშიერი, ჩოჩორი; 13. ივნისის თვის ქართული სახელწოდება; 15. ძვირფასი ლითონების წონის საერთაშორისო ერთეული; 16. წიაღისეულით მდიდარი ზღვის თხელწყლიანი ნაპირი; 18. მანძილი იდაყვიდან შუა თითის წვერამდე; 19. კოვბოების შეჯიბრება.

თარაზულად: 6. ქართველი მწერალი, დრამატურგი, კინორეჟისორი; 8. ბრიტანული ნამცხვარი; 9. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 10. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 12. გერმანელი ფილოსოფოსი; 14. ურუგვაის ნაკრებისა და პარიზის „პ.ს.ჟ.“-ს ფეხბურთელი; 17. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 20. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 21. ქალის უთითო ხელთათმანი; 22. კუთხე საქართველოში; 23. ქალაქ ფოთის პირველი მერი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ჩან ჩან ვან + მა ინ ტონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ჯიან ჰი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ბეი ფუ დი ჰუანბ ვან + სუნ საო

აუმჯობესებს პოტენციას

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/